პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და
საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б)
ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

შაბათი, 26 აგვისტო, 1947 წ. № 170 (7954). ფასი 20 კაპ.

დ ღ ე ს გ ა ზ ე თ შ ი:

კომკავშირისადმი პარტიული ხელმძღვანელობის გაძლიერებისათვის. მოწინავე (1-ლი გვერდი).

თბილისის მშრომელები ახალი საწარმოო მიღწევებით აღნიშნავენ მოსკოვის 800 წლისთავს (1-ლი გვერდი).

წერილების გაცვლა ვ. მ. მოლოტოვსა და ჯ. მარშალს შორის (მე-2 გვერდი).

გ. სიხარულიძე — მ. ვ. ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის უნივერსიტეტი (მე-2 გვერდი).

პარტიული ცხოვრება (მე-3 გვერდი).

მივცეთ სამშობლოს მეტი ჩაი (მე-3 გვერდი).

უცხოეთის ამბები — დეპეშები (მე-3, მე-4 გვერდი).

კომკავშირისადმი პარტიული ხელმძღვანელობის გაძლიერებისათვის

ბოლშევიკების პარტიამ კომკავშირს უდიდესი ამოცანა დააკისრა — აღზარდოს ახალგაზრდობა საბჭოთა პატრიოტიზმის, ლენინ-სტალინის საქმისადმი უსაზღვრო ერთგულების სულისკვეთებით.

პარტიამ ამასთანავე მოსთხოვა ყველა მის ადგილობრივ ორგანიზაციას განუწყვეტლივ იზრუნოს კომკავშირის მუშაობის სათანადო დონეზე დაყენებისათვის, უხელმძღვანელოს და დაეხმაროს მას ამ ამოცანის შესრულებაში. ამხანაგი სტალინი გვასწავლის: „...პარტიის ხელმძღვანელობის უზრუნველყოფა უმთავრესი და უმნიშვნელოვანესი ამოცანაა კომკავშირის მთელ მუშაობაში... ასეთი ხელმძღვანელობის გაუწევლად კომკავშირს არ შეუძლია შეასრულოს თავისი ძირითადი ამოცანა —აღზარდოს მუშურ-გლეხური ახალგაზრდობა პროლეტარიატის დიქტატურისა და კომუნიზმის სულისკვეთებით“.

კომკავშირი მტკიცედ ახორციელებს პარტიის მიერ დაკისრებულ ამოცანას, უდიდეს როლს ასრულებს ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ და სამეურნეო ცხოვრებაში. ომამდელი სტალინური ხუთწლედების მანძილზე იგი თავდადებული შრომით ეხმარებოდა პარტიას მძლავრი სოციალისტური ინდუსტრიისა და მსხვილი სოციალისტური სოფლის მეურნეობის შექმნაში. იმ დიდი მუშაობის შედეგი, რასაც პარტია ეწევა ახალგაზრდობის აღსაზრდელად, განსაკუთრებით მკაფიოდ გამომჟღავნდა დიდი სამამულო ომის მძიმე დღეებში. კომკავშირელებმა და ახალგაზრდობამ ფრონტზე და ზურგში გვიჩვენეს გმირული ბრძოლისა და შრომის აღმაფრთოვანებელი მაგალითები.

კიდევ უფრო გაიზარდა კომკავშირის როლი და ამოცანები ახლა, როცა ჩვენი ქვეყნის მშრომელები თავდადებულად იბრძვიან ომისშემდგომი განვითარების დიადი სტალინური ხუთწლედის შესრულებისათვის. ახლა ყოველი კომკავშირული ორგანიზაცია უნდა წარმოადგენდეს მებრძოლ შტაბს, რომლის მთელი პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა მიმართულია ახალგაზრდობის მთელი ძალების დარაზმვად ქვეყნის სამეურნეო და კულტურულ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობისათვის. ცხადია, ამ ამოცანის წარმატებით გადაჭრას კომკავშირული ორგანიზაციები მხოლოდ მტკიცე პარტიული ხელმძღვანელობის პირობებში შესძლებენ.

კომკავშირისადმი ყოველდღიური პარტიული ხელმძღვანელობის მრავალი კარგი მაგალითის დასახელება შეიძლება. თბილისის საორთქლმავლო დეპოს კომკავშირული ორგანიზაცია 140 ახალგაზრდას აერთიანებს. კომკავშირელთა მარქსისტულ-ლენინური აღზრდა, საწარმოს ცხოვრებაში მათი აქტიური მონაწილეობის უზრუნველყოფა დეპოს პარტიული ორგანიზაციის ყოველდღიური ზრუნვის საგანია. პარტიული ორგანიზაციის დახმარებით კომკავშირელები დაუღალავად მუშაობენ საკუთარი თეორიული დონის ასამაღლებლად. 56 კომკავშირელი დამოუკიდებლად მეცადინეობს. დეპოში მუდმივად იმართება კვალიფიციური ლექციები ახალგაზრდობისათვის საინტერესო საკითხებზე. კომკავშირელები და დეპოს ახალგაზრდობა ინტერესით და ბეჯითად სწავლობენ ჩვენი პარტიის თეორიას, დიდი ბელადების — ლენინისა და სტალინის ბიოგრაფიებს. კომკავშირული კრებები ყოველთვის მომზადებულად ტარდება. კრებებში, რომლებიც იხილავენ კომკავშირული ცხოვრების ყველა მნიშვნელოვან საკითხს, ყოველთვის მონაწილეობენ პარტბიუროს მდივანი, ბიუროს წევრები. პარტიული ორგანიზაცია სისტემატურად მსჯელობს კომკავშირული მუშაობის ცალკეულ საკითხებზე. ყოველდღიური პარტიული ხელმძღვანელობის შედეგია ის, რომ კომკავშირელები აქტიურად მონაწილეობენ საწარმოს ცხოვრებაში. უშუალოდ წარმოებაში 120 კომკავშირელი მუშაობს და ყველა მათგანი სტახანოველი და ლუნინელია. კარგად ხელმძღვანელობს კომკავშირს თბილისის კიროვის სახელობის დაზგათმშენებელი ქარხნის პარტიული ორგანიზაციაც. ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ აქ მაღალ დონეზე დგას პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა ახალგაზრდობაში. კომკავშირელები და ახალგაზრდობა მრავალი სასარგებლო საქმის ინიციატორები არიან და თავდადებული შრომით აქტიურად მონაწილეობენ ახალ საწარმოო გამარჯვებათა მოპოვებაში.

სამწუხაროდ, არის შემთხვევები, როცა კომკავშირული ორგანიზაცია ვერ დგას თავისი ამოცანების სიმაღლეზე, ხოლო პარტიული ორგანიზაცია ადვილად ურიგდება ამას. სოფელ გორდის (წულუკიძის რაიონი) გეგეჭკორის სახელობის კოლმეურნეობაში მთლიანად ჩაშლილია კომკავშირული ორგანიზაციის მუშაობა. კომკავშირული კრებები ძლიერ იშვიათად იმართება და როცა იმართება, მოუმზადებლად. არც ერთ კომკავშირელს დავალება არა აქვს. ისინი არ მუშაობენ თავიანთი იდეური დონის ასამაღლებლად. დაბალია კომკავშირელთა ავანგარდული როლი კოლმეურნეობაში. მთელ რიგ კომკავშირელებს შრომადღეების მინიმუმიც არა აქვთ გამომუშავებული. საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაცია ცუდად ხელმძღვანელობს კომკავშირს. იგი ზომებს არ იღებს მდგომარეობის გამოსასწორებლად. კასპის ცემენტის ქარხანაში 140-ზე მეტი ახალგაზრდა მუშაობს. ქარხნის კომკავშირული ორგანიზაცია მათ შორის არავითარ პოლიტიკურ-აღმზრდელობით მუშაობას არ ეწევა. თითქმის ჩაშლილია კომკავშირული ორგანიზაციის მუშაობა ყაზბეგის რაიონის სოფელ გერგეთის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში. აქ კომკავშირში 27 ახალგაზრდა ირიცხება. მათ უმრავლესობას არავითარი დავალება არა აქვს, არ მუშაობენ თავიანთი თეორიული დონის ასამაღლებლად. ახალგაზრდობისათვის არ ეწყობა ლექციები და მოხსენებები. სუსტია იდეოლოგიური მუშაობა ადიგენის რაიონის მთელ რიგ კომკავშირულ ორგანიზაციებში. რაიონში 25 კომკავშირული პოლიტწრეა შექმნილი. მათგან მხოლოდ 7 წრე მუშაობს. ყველა ამ ნაკლოვანებათა ძირითადი მიზეზი კომკავშირისადმი ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციათა სუსტი ხელმძღვანელობაა.

პარტიულმა ორგანიზაციებმა გადაჭრით უნდა გააუმჯობესონ კომკავშირისადმი ხელმძღვანელობა. მთავარია იდეოლოგიური მუშაობის გაუმჯობესება კომკავშირში. საჭიროა ახალგაზრდობა, კომკავშირელები დაეუფლონ მარქსიზმ-ლენინიზმს. პარტიული ორგანიზაციები ვალდებული არიან შეურჩიონ კომკავშირულ ორგანიზაციებს ყველაზე მომზადებული კვალიფიციური ლექტორები და პროპაგანდისტები, დაეხმარონ მათ ახალგაზრდობისათვის საინტერესო ლექციებისა და მოხსენებების მოწყობაში. პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელი სისტემატურად უნდა საუბრობდეს კომკავშირულ აქტივთან, რიგით კომკავშირელებთან, არკვევდეს ახალგაზრდობაში პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის ნაკლოვანებებს და დაუყოვნებლივ იღებდეს ზომებს მათ გამოსასწორებლად.

კომკავშირული კრება ახალგაზრდობის აღზრდის მძლავრი საშუალებაა. ამიტომ მისი მაღალ იდეურ დონეზე ჩატარება, კრებებზე აქტუალური საკითხების, კომკავშირისა და ახალგაზრდობის ცხოვრების უმნიშვნელოვანესი საკითხების დაყენება — პარტიული ორგანიზაციის ყოველდღიური ზრუნვის საგანი უნდა იყოს.

განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს კომკავშირული აქტივის, როგორც ხელმძღვანელი ბირთვის, აღზრდა და გამოწრთობა, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა ხელმძღვანელი კომკავშირელი მუშაკების შერჩევა ხდებოდეს პარტიულ ორგანიზაციასთან შეთანხმებით. პარტიული ორგანიზაციის მდივანი, ბიუროს წევრები უნდა დაეხმარონ კომკავშირის ორგანიზაციის მდივანს ხელმძღვანელობის ხელოვნების დაუფლებაში, შეასწავლონ კომკავშირული მუშაობის პრაქტიკული საკითხები.

პარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონული კომიტეტების მოვალეობაა ხშირად განიხილონ კომკავშირისადმი პარტიული ხელმძღვანელობის საკითხები, გამოამჟღავნონ ნაკლოვანებანი, დასახონ ღონისძიებანი მათ გამოსასწორებლად და განახორციელონ ისინი. პარტიის რაიონული კომიტეტების მხრივ განსაკუთრებულ ხელმძღვანელობასა და დახმარებას მოითხოვენ კომკავშირული ორგანიზაციები იქ, სადაც პარტიული ორგანიზაცია არ არსებობს და პარტიული დირექტივების უშუალო გამტარებელი კომკავშირული ორგანიზაციაა.

ახალგაზრდობის აღზრდას ლენინურ-სტალინური სულისკვეთებით, ქვეყნის სამეურნეო და პოლიტიკურ ცხოვრებაში კომკავშირის როლის კიდევ უფრო ამაღლებას მხოლოდ მტკიცე, ყოველდღიური პარტიული ხელმძღვანელობით მივაღწევთ.

1942 წლის სამხედრო სესხის ტირაჟი

ერევანი, 25 აგვისტო. (საქდესი). 23 და 24 აგვისტოს ერევანში შესდგა 1942 წლის სახელმწიფო სამხედრო სესხის მეათე ტირაჟი. მეათე ტირაჟში გათამაშდა 271.565.200 მანეთის 1.017.750 მოგება.

25 აგვისტოს შესდგა 1942 წლის სახელმწიფო სამხედრო სესხის დაფარვის პირველი ტირაჟი.

თბილისის მშრომელები ახალი საწარმოო მიღწევებით აღნიშნავენ მოსკოვის 800 წლისთავს

260 ტონა საძირე ტყავი გეგმის გადამეტებით

წარმატებით ანაღდებს საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებებს თბილისის ტყავეულობის პირველი ქარხნის კოლექტივი. 23 აგვისტოსათვის ქარხანამ საძირე ტყავის გამოშვების 9 თვის გეგმა 102,3 პროცენტით შეასრულა, ამასთანავე დაზოგა 33 ტონა ნედლეული და 39.700 კილოვატსაათი ელექტროენერგია. თვითღირებულების შემცირებამ და შრომის ნაყოფიერების ზრდამ უზრუნველჰყო 1.260 ათასი მანეთი დაგროვება, რაც 360 ათასი მანეთით სჭარბობს გასული წლის ამავე პერიოდში მიღებულ დაგროვებას.

ჩვენი უძლეველი სამშობლოს დედაქალაქის—მოსკოვის 800 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის ქარხნის კოლექტივმა იკისრა, ნაცვლად 7 ნოემბრისა, ორი კვირით ადრე, 25 ოქტომბრისათვის შეასრულოს წლიური პროგრამა და გეგმის გადამეტებით წლის ბოლომდე 260 ტონა საძირე ტყავი გამოუშვას. ამ ვალდებულების გასანაღდებლად საამქროებსა, ბრიგადებსა და სტახანოველებს შორის ახალი ძალით გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება. მოწინავე სტახანოველები: ნ. შოშიაშვილი, ა. კაპუაშვილი, ო. აზროიანი, გ. მაჭარაძე, მ. მურადოვი და სხვები, მოსკოვის 800 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის სტახანოვურ ვახტზე დადგნენ და გეგმებს ორმაგად ასრულებენ.

ზ. ზარიძე

სტახანოველ ფეიქართა ვალდებულებანი

7 თვეში თბილისის აბრეშუმსაქსოვმა ფაბრიკამ გეგმით გათვალისწინებული 2.883.000 მეტრის ნაცვლად 3.113.000 მეტრი წმინდა აბრეშუმისა და ნახევარაბრეშუმის ქსოვილი გამოუშვა. საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში ფაბრიკის კოლექტივი ინარჩუნებს მესამე ადგილს.

აბრეშუმქსოველი სტახანოველები ერთსულოვნად გამოეხმაურნენ დედაქალაქის 800 წლისთავთან დაკავშირებით მოსკოვისა და თბილისის მოწინავე საწარმოთა კოლექტივების ინიციატივას ამ სასახელო თარიღის აღსანიშნავად სამშობლოსათვის ახალი საჩუქრების მომზადების შესახებ. ორდაზგოსანმა სტახანოველმა მ. გამყრელიძემ ივლისში გეგმას 30 პროცენტით გადააჭარბა. მოსკოვის 800 წლისთავთან დაკავშირებით მან იკისრა აგვისტოს გეგმის 140 პროცენტით შესრულება. სტახანოველი მქსოველის მ. ოქროპირიძის საწარმოო მაჩვენებელი ივლისში 149 პროცენტს უდრიდა. მან დაივალა აგვისტოს გეგმა 155 პროცენტით გაანაღდოს. სტახანოველმა მქსოველმა თ. არაქელოვამ, რომელსაც გასული თვის გეგმა 114 პროცენტით აქვს შესრულებული, იკისრა აგვისტოს გეგმა 120 პროცენტით შეასრულოს.

ალ. ჟუღნია

თბილისი. დაზგათმშენებელი ქარხანა „დაზგა“. სურათზე: საინსტრუმენტო საამქროს უფროსი ე. ცატუროვა (ცენტრში) აჯამებს სტახანოველების ი. ჩხეიძის—(მარცხნივ)—(დავალებას ასრულებს 250 პროცენტით) და პ. შჩერბაკოვის (დავალებას ასრულებს 300 პროცენტით) მუშაობის შედეგებს.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

წლიურ გეგმას 31 ოქტომბრისათვის შეასრულებენ

5.500 ათასი მანეთის პროდუქცია,—ასეთია კალინინის სახელობის მექანიკური ქარხნის სახელმწიფო გეგმა მიმდინარე სამეურნეო წლისათვის. ლენინგრადელთა მიმართვის განხილვისას კალინინელებმა იკისრეს ამ დავალების 7 ნოემბრისათვის შესრულება და თავის მხრივ წამოაყენეს შემხვედრი გეგმა—900 ათასი მანეთის პროდუქციის გამოშვება გეგმის გადამეტებით წლის ბოლომდე.

ქარხნის კოლექტივი ერთსულოვნად დაირაზმა ნაკისრი ვალდებულების შესასრულებლად. ივლისის გეგმა კალინინელებმა 115 პროცენტით შეასრულეს, ხოლო 18 აგვისტოსათვის 9 თვის დავალება გაანაღდეს. ამ დროისათვის უკვე გამოშვებულია 4.210 ათასი მანეთის პროდუქცია. ივლისში განსაკუთრებით დაწინაურდა სასწორების სამქრო, რომელმაც თვიურ დავალებას 50 პროცენტით გადააჭარბა. მოწინავეთა რიგებშია სახარატო საამქროც. მისი საწარმოო მაჩვენებელი 118 პროცენტს უდრის. 1 აგვისტოსათვის ქარხნის 61 სტახანოველმა უკვე შეასრულეს წლიური დავალება. საწოლების საამქროს სტახანოველმა ამხ. შ. ბერიძემ 4-ნახევარი წლის გეგმა გაანაღდა, ამავე საამქროს ზეინკალ-ამკრებმა მ. მურადოვმა—4 წლისა, თუჯის ჩამსხმელმა მ. კალანდაძემ, მჭედლებმა ა. აბრამიანმა, მეშტამპე ტ. სავჩენკომ—ორ-ორი წლისა.

კალინინელებმა წელს მთელი რიგი ახალი პროდუქციის წარმოება აითვისეს. ათვისებულია 10-კილოგრამიანი მაგიდის სასწორების, საკოლმეურნეო ღუმელების, საკოლმეურნეო აბანოს მოწყობილობის წარმოება. გარდა ამისა, ქარხანაში საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს დაკვეთით აითვისეს სადეზინფექციო კამერების წარმოება და უკვე გადასცეს დამკვეთს 250 ცალი ასეთი კამერა.

ჩვენი სამშობლოს სახელოვანი დედაქალაქის—მოსკოვის 800 წლისთავთან დაკავშირებით პარტორგანიზაციის (მდივანი ამხ. გ. რაზმაძე) ინიციატივით ქარხნის მუშებმა საერთო კრებაზე მოისმინეს სპეციალური მოხსენება. ამავე საკითხზე პროპაგანდისტები საამქროებში მართავენ საუბრებს. მოხსენებამ და საუბრებმა, აგრეთვე მოსკოვისა და თბილისის მოწინავე საწარმოთა კოლექტივების მიერ ნაკისრმა ახალმა ვალდებულებებმა კიდევ უფრო აღაფრთოვანა ქარხნის კოლექტივი. მოსკოვის 800 წლისთავის აღსანიშნავად კოლექტივმა დაივალა წლიური გეგმა ნაცვლად 7 ნოემბრისა შეასრულოს 31 ოქტომბრისათვის. სასწორების საამქროს უფროსმა ამხ. ი. სტეფანოვმა იკისრა აგვისტოს გეგმა გაანაღდოს 155 პროცენტით, ხოლო სახარატო საამქროს უფროსმა ამხ. გ. ჯაფარიძემ—125 პროცენტით. ასეთივე გადიდებული ვალდებულებანი აიღეს ქარხნის სხვა საამქროების უფროსებმა და წარჩინებულმა სტახანოველებმა.

ს. თევდორაძე

მანქანათმშენებელთა სტახანოვური ვახტი

სტახანოვური განრიგით მუშაობის ინიციატორი — თბილისის ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის კოლექტივი დაუღალავად შრომობს ლენინგრადელთა მიმართვის პასუხად ნაკისრ ვალდებულებათა გასანაღდებლად. მაღალნაყოფიერი მუშაობისათვის ქარხნის კოლექტივმა წელს საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში სამჯერ დაიმსახურა მაღალი ჯილდო.

სსრ კავშირის საგემოვნო მრეწველობის სამინისტრო გაეცნო ორჯონიკიძის ქარხანაში სტახანოვური განრიგის გამოყენების გამოცდილებას და სამინისტროსადმი დაქვემდებარებულ ყველა საწარმოს გაუგზავნა საინფორმაციო წერილი, რომლითაც ურჩევს საწარმოთა ხელმძღვანელებს გადაიღონ ორჯონიკიძელთა მუშაობის გამოცდილება, თავიანთ საწარმოებში ფართოდ დანერგონ სტახანოვური განრიგი. წერილში დაწვრილებით არის აღწერილი ქარხნის კოლექტივის მიერ სტახანოვური განრიგის შემოღებით მიღწეული წარმატებები. წერილს, როგორც კონკრეტული მაგალითი, თანდართული აქვს მეყალიბე სტახანოველის ამხ. ციკორიძისა და ცვლის ოსტატის სტახანოვური განრიგება.

მოპოვებული წარმატებებითა და ჯილდოებით აღფრთოვანებული კოლექტივი დღითი დღე აძლიერებს მუშაობის ტემპს. 9 თვის გეგმა აქ 23 აგვისტოსათვის შეასრულეს, ხოლო ივლისისა—123,8 პროცენტით. შრომის ნაყოფიერების მკვეთრად გადიდებისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირების შედეგად ქარხანაში დაგროვებამ წლის პირველ ნახევარში 500 ათას მანეთს მიაღწია.

უკანასკნელად აქ აითვისეს და დაამზადეს არაყის სახდელი ორკუბიანი მანქანა, რომელზეც საგემოვნო მრეწველობა დიდ მოთხოვნას აყენებს. სექტემბერში ორჯონიკიძელებმა 6 ასეთი მანქანა უნდა გამოუშვან.

მოსკოვის 800 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის ქარხნის კოლექტივმა იკისრა 7 სექტემბრამდე 2 ასეთი მანქანის გამოშვება. ქარხნის წარჩინებული სტახანოველები შ. ომანიძე, ვ. ამირგულოვი, ვ. ილურიძე, ი. მაჩაბელი, ბ. გორა, ვ. ერემოვი და სხვები, რომლებსაც დღემდე ორ-ორნახევარი წლის გეგმები აქვთ შესრულებული, სტახანოვურ ვახტზე დადგნენ და ენერგიულად იბრძვიან ამ ახალი ვალდებულების განაღდებისათვის.

ი. ზამბახიძე

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმი

ამას წინათ ამხ. ი. ტ. გოლიაკოვის თავმჯდომარეობით შესდგა სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის სხდომა.

სხვა საკითხებს შორის განხილულ იქნა კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების თანამდებობრივი დანაშაულის გამო საქმის განხილვის წესის საკითხი. პლენუმმა გადასწყვიტა, რომ ასეთი საქმეები უნდა განიხილონ მხოლოდ საოლქო, სამხარეო სასამართლოებმა, ავტონომიურ რესპუბლიკათა უმაღლესმა სასამართლოებმა, ხოლო რესპუბლიკებში, სადაც ოლქობრივი დაყოფა არ არის,—ამ რესპუბლიკების უმაღლესმა სასამართლოებმა.

ამ სასამართლოებმა მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა მიიღონ განსახილველად საქმეები კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების თანამდებობრივი დანაშაულის ბრალდების გამო, როცა ამ საქმეთა წინასწარი გამოძიება მოახდინა პროკურატურის გამომძიებელმა, ხოლო საბრალდებო დასკვნა დაამტკიცა შესაბამისად ოლქის, მხარის, რესპუბლიკის პროკურორმა.

პლენუმმა განიხილა აგრეთვე სასამართლოების მიერ „მოქალაქეთა პირადი საკუთრების დაცვის გაძლიერების შესახებ“ და „სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დატაცებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1947 წლის 4 ივნისის ბრძანებულებათა შეფარდების წესის საკითხი. პლენუმმა დაადგინა — მითითება მიეცეთ სასამართლოებს, რომ ამ ბრძანებულებათა გამოცემის შემდეგ ჩადენილი დანაშაულობანი კვალიფიცირებულ იქნას მათი შესაბამისი მუხლების მიხედვით. ამასთან დაკავშირებით შეფარდებული არ უნდა იქნას 1932 წლის 7 აგვისტოს კანონი, „წარმოებაში წვრილი ქურდობისათვის და ხულიგნობისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1940 წლის 10 აგვისტოს ბრძანებულების პირველი მუხლი და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების მთელი რიგი მუხლები.

„სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დატაცებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ“ ბრძანებულების მე-2 და მე-4 მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულობათა საქმეები, თუ დატაცებული ქონება დიდი ოდენობისაა, სამხარეო, საოლქო, საოკრუგო სასამართლოთა და მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლეს სასამართლოთა განსჯადობისაა. 1947 წლის 4 ივნისის ბრძანებულებით გათვალისწინებულ დანაშაულობათა ყველა დანარჩენი საქმე სახალხო სასამართლოთა განსჯადობისაა.

1947 წლის 4 ივნისის ბრძანებულებით გათვალისწინებულ დანაშაულობათა ყველა საქმეზე სავალდებულოა წინასწარი გამოძიება. სასამართლოში ეს საქმეები პროკურორმა უნდა გაგზავნოს. (საქდესი).

ვ. ი. ლენინის სახლი-მუზეუმი

ულიანოვსკში დამთავრდა მუშაობა ვ. ი. ლენინის სახლ-მუზეუმზე. გაკეთებულია ყოველივე, რომ ეს სახლი შენახულ იქნას საუკუნეებში.

ხის სახლი, რომელშიც ცხოვრობდა ულიანოვების ოჯახი, აშენებულია ას წელზე მეტი ხნის წინათ. ახლა თვითეული ძელი, თვითეული კოჭი გაჟღენთილია განსაკუთრებული შემადგენლობით, რომელიც იცავს ხეს ლპობისაგან.

შექმნილია სპეციალური მოწყობილობა ხანძრისაგან შენობის დასაცავად. ღილის ერთი დაჭერით შეიძლება სახლის ირგვლივ გაკეთდეს წყლის ფარდა.

სპეციალური დანადგარით ეზოში, რომელიც შეერთებულია მუზეუმთან მიწისქვეშა ტალანით, შესაძლებელია თვითეულ ოთახში ჰაერის ტემპერატურისა და ტენიანობის ავტომატურად რეგულირება.

დაბლა სართულში მოწყობილია ოთახები მნახველთა და ექსკურსანტებისათვის, აგრეთვე მშვენიერი სალექციო დარბაზი.

სახლის ფასადზე გაკეთებულია მემორიალური დაფა ვ. ი. ლენინის ბარელიეფური პორტრეტით და წარწერით: „აქ ცხოვრობდა ვლადიმერ ილიას-ძე ულიანოვი-ლენინი 1878 წლიდან 1887 წლამდე“.

ამ მოკლე დროში სახლი-მუზეუმი გაიხსნება მნახველთათვის.

ყაზახეთის ათასმა კოლმეურნეობამ შეასრულა პურის ჩაბარების სახელმწიფო გეგმა

ალმა-ატა, 25 აგვისტო. (საქდესი). ყაზახეთის მინდვრებში დღითიდღე სულ უფრო ჩაღდება შეჯიბრება ამხანაგ სტალინისათვის გაგზავნილ წერილში ყაზახების მიერ ნაკისრ ვალდებულებათა ვადამდე შესრულებისათვის.

რესპუბლიკის ათასმა კოლმეურნეობამ ვადამდე შეასრულა პურის ჩაბარების წლიური გეგმა და დამამზადებელ პუნქტებში დავალების გადამეტებით ასიათასობით ფუთი პური მიიტანა.

თბოელექტროცენტრალი კოლმეურნეობაში

ორედეჟი, (ლენინგრადის ოლქი), 25 აგვისტო. (საქდესი). მოლოტოვის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელში დაიწყო კოლმეურნეობის პირველი თბოელექტროცენტრალის შენობის აგება. მოწყობილობას ამზადებს ქვაბ-ტურბინის ინსტიტუტის ექსპერიმენტული ელექტროსადგურის კოლექტივი. ეს არის საჩუქარი საშეფო კოლმეურნეობისათვის დიდი ოქტომბრის XXX წლისთავზე. შეფებმა უკვე ააგეს ტურბინი, გენერატორი და ქვაბი, რომელიც ნავარაუდევია ტორფისა და შეშის საწვავად.

წერილების გაცვლა ვ. მ. მოლოტოვსა და ჯ. მარშალს შორის

კორეის საკითხის საბჭოთა კავშირ-ამერიკის ერთობლივი კომისიის მუშაობის შესახებ

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა ჯ. მარშალმა და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვ. მ. მოლოტოვმა ერთმანეთს გაუგზავნეს წერილები კორეის შესახებ საბჭოთა კავშირ-ამერიკის ერთობლივი კომისიის მუშაობის საკითხზე.

ქვემოთ მოგვყავს ტექსტი ჯ. მარშალის ამა წლის 12 აგვისტოს წერილისა ვ. მ. მოლოტოვის სახელზე:

„1947 წლის 19 აპრილის წერილში თქვენ წინადადება წამოაყენეთ, რომ კორეის საკითხის საბჭოთა კავშირ-ამერიკის ერთობლივ კომისიას მუშაობა განეახლებინა სეულში 20 მაისს „კორეის შესახებ მოსკოვის შეთანხმების ზუსტი შესრულების საფუძველზე", და რომ ამ კომისიას თავისი მუშაობის შედეგები საბჭოთა კავშირისა და ამერიკის მთავრობების განსახილველად წარმოედგინა 1947 წლის ივლისსა და აგვისტოში. თანახმად ყველა ანგარიშისა, რაც მიიღო ამერიკის დელეგაციამ ერთობლივ კომისიაში, ორი დელეგაცია ერთმანეთს ვერ შეუთანხმდა კორეის პოლიტიკურ პარტიებთან და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ფართო კონსულტაციის საკითხზე. ასეთი მდგომარეობა ერთ თვეზე მეტ ხანს გრძელდება, ისე რომ არსებითი ცვლილებები არ მომხდარა, და აფიქრებს შეერთებული შტატების მთავრობას.

თქვენ გაიხსენებთ, რომ 2 მაისის წერილში თქვენდამი მე მოვიხსენიე თქვენი განცხადება, რომ კომისიის მუშაობა უნდა მიმდინარეობდეს „მოსკოვის შეთანხმების ზუსტი შესრულების საფუძველზე", და იმისათვის, რომ მომავალში თავიდან აგვეცილებინა გაუგებრობანი, მე განვმარტე ამ ფრაზის ჩემი ინტერპრეტაცია. მე აღვნიშნე, რომ შეერთებული შტატების მთავრობის თანმიმდევრული და კარგად ცნობილი პოზიცია იმაში მდგომარეობდა, რომ „კორეის დემოკრატიული პარტიებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებს, იმ პირობით, თუ ისინი მზად არიან ითანამშრომლონ კომისიასთან, საშუალება არ უნდა მოესპოთ გასწიონ კომისიასთან კონსულტაცია კორეის დროებითი მთავრობის შექმნის საკითხზე იმ შეხედულებათა გამო, რომლებსაც ისინი შეიძლება იცავდნენ, ან რომლებიც მათ, შესაძლოა, წარსულში გამოუთქვამთ მათი ქვეყნის მომავალი მთავრობის შესახებ". 7 მაისის პასუხში თქვენ დაეთანხმეთ ამ პოზიციას. კომისიის მუშაობის განახლების საფუძვლად თქვენ მიიღეთ წინადადება, რომელიც გენერალმა ჰოჯმა ჩამოაყალიბა თავის 1946 წლის 24 დეკემბრის წერილში გენერალ ჩისტიაკოვისადმი. ეს წერილი შეესაბამებოდა შეერთებული შტატების ზემოთ ჩამოყალიბებულ პოზიციას. ამ პოლიტიკის განხორციელების მიზნით ამერიკის დელეგაცია ერთობლივ კომისიაში ამტკიცებდა, რომ კორეის დემოკრატიულმა პარტიებმა და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა რაც შეიძლება ფართო მონაწილეობა უნდა მიიღონ და რომ ამ მონაწილეობის განხორციელებისას კორეელებს სრულებით არ შეუზღუდავენ სიტყვისა და აზრის თავისუფლებას. შეერთებული შტატების დელეგაცია ცდილობდა დაეჩქარებინა საკითხის გადაჭრა და ამისათვის რამდენჯერმე წამოაყენა წინადადება ზეპირი კონსულტაცია გაეწიათ მხოლოდ იმ პარტიებთან და ორგანიზაციებთან, რომლების წევრთა რაოდენობა აღემატება 1.000-ს, ან რაიმე სხვა გონივრულ ციფრს, რომელსაც საბჭოთა დელეგაცია დაასახელებდა. მაგრამ ეს წინადადება საბჭოთა დელეგაციამ არ მიიღო. შეერთებული შტატების მთავრობას მიაჩნია, რომ, რათა სამართლიანად მოვეპყროთ კორეელ ხალხს, რომლის დამოუკიდებლობის იმედების განხორციელება ასე დიდხანს გადაიდო, აღარ შეიძლება შემდგომი გაჭიანურება. ამიტომ ამერიკის მთავრობის სურვილია, რომ ერთობლივმა კომისიამ 1947 წლის 21 აგვისტოსათვის წარმოადგინოს მოხსენება იმის შესახებ, თუ რა მდგომარეობაშია მისი მუშაობა, რათა თვითეულმა მთავრობამ შესძლოს დაუყოვნებლივ იმსჯელოს, შემდეგში რა ნაბიჯების გადადგმა იქნება სასარგებლო იმისათვის, რომ შესრულდეს მოსკოვის შეთანხმების მიზნები, სახელდობრ — შეიქმნას დამოუკიდებელი გაერთიანებული კორეა, რომელსაც შეუძლია თავისი ჯეროვანი ადგილი დაიკავოს გაერთიანებულ ერთა შორის".

ამ წერილის პასუხად ვ. მ. მოლოტოვმა შემდეგი წერილი გაუგზავნა ბ-ნ მარშალს:

„ვადასტურებ, რომ მივიღე თქვენი 1947 წლის 12 აგვისტოს წერილი საბჭოთა კავშირ-ამერიკის ერთობლივი კომისიის მუშაობის საკითხზე.

როგორც ცნობილია, ერთობლივი კომისიის მუშაობა განახლდა კორეის დემოკრატიულ პარტიებთან და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან კონსულტაციის იმ სამი პირობის საფუძველზე, რომლებიც ტექსტუალურად მოყვანილია ჩემს 1947 წლის 7 მაისის წერილში და რომლებიც მიღებულია თქვენ მიერ 13 მაისის წერილში. საბჭოთა დელეგაციას მითითება მიეცა კონსულტაციის საკითხებში ეხელმძღვანელნა სწორედ ამ პირობებით. ამ პირობების თანახმად, ერთობლივმა კომისიამ კონსულტაცია უნდა გასწიოს იმ დემოკრატიულ პარტიებთან და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, რომლებიც სავსებით უჭერენ მხარს მოსკოვის გადაწყვეტილებას კორეის შესახებ.

მაგრამ კონსულტაციაში მონაწილეობისათვის განცხადებები შემოიტანეს იმ პარტიებმა და ორგანიზაციებმაც, რომლებიც შედიან მეურვეობის შესახებ მოსკოვის გადაწყვეტილების წინააღმდეგ ბრძოლის კომიტეტში. საბჭოთა მთავრობას მიაჩნია, რომ ასეთ პარტიებსა და ორგანიზაციებს კონსულტაციაში მონაწილეობის მიღების საშუალება შეიძლება მისცემოდათ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს პარტიები და ორგანიზაციები ოფიციალურად გასწყვეტდნენ კავშირს აღნიშნულ კომიტეტთან და განაცხადებდნენ, რომ გამოვიდნენ ამ კომიტეტიდან, რის გარეშეც მათთან კონსულტაცია არ უნდა ჩატარდეს.

საბჭოთა მთავრობა, რომელიც კორეის დემოკრატიულ პარტიებთან და ორგანიზაციებთან ფართო კონსულტაციის პოზიციაზე დგას, არ ფიქრობს, რომ ერთობლივმა კომისიამ კონსულტაცია უნდა გასწიოს ისეთ ორგანიზაციებთან, რომელთა რიგებშიც მხოლოდ რამდენიმე ათეული ან ასეული კაცი ირიცხება. ასეთი ორგანიზაციების რიცხვი დიდია და მათთან კონსულტაცია ეფექტური არ იქნებოდა მათი არაავტორიტეტულობის გამო. გარდა ამისა, ასეთ მცირე ჯგუფებთან კონსულტაცია მრავალი თვით გააჭიანურებდა ერთობლივი კომისიის მუშაობას და გამოიწვევდა კორეის მთავრობის შექმნის დიდი ხნით გადადებას. საბჭოთა მთავრობას მიაჩნია, რომ კონსულტაცია შეიძლება ჩატარდეს ისეთ პარტიებთან და ორგანიზაციებთან, რომლების წევრთა რაოდენობა 10 ათას კაცს აღემატება.

რაც შეეხება თქვენს განცხადებას, რომ კონსულტაციის ჩატარების დროს სიტყვისა და აზრის არავითარი შეზღუდვა არ უნდა იყოს, ეს უნდა გავრცელდეს უწინარეს ყოვლისა იმ პარტიებსა და ორგანიზაციებზე, რომლებიც ხელს უწყობენ მოსკოვის გადაწყვეტილების რეალიზაციას. ხოლო ამ უკანასკნელ ხანს სამხრეთ კორეის ის პარტიები და ორგანიზაციები, რომლებიც მოსკოვის გადაწყვეტილებისადმი მხარდამჭერის პოზიციაზე დგანან, სამხრეთ კორეაში მყოფ ამერიკელ ხელისუფალთა მხრივ განიცდიან მეტად სასტიკ შეზღუდვასა და მკაცრ დევნას, რაც ეწინააღმდეგება დემოკრატიულ პრინციპებს და სრულებით არ შეესაბამება მოსკოვის თათბირის გადაწყვეტილებებს. ასეთი პარტიებისა და ორგანიზაციების სადგომებს პოლიციის ხელისუფალნი იკავებენ; მათს ხელმძღვანელებსა და წევრებს აპატიმრებენ; პრესის ორგანოებს ხურავენ. საბჭოთა მთავრობას მიაჩნია, რომ ასეთი მდგომარეობა არანორმალური და შეუწყნარებელია და გამორიცხავს კორეის საკითხზე სამი მინისტრის მოსკოვის თათბირის გადაწყვეტილების სწორად შესრულების შესაძლებლობას, თუ სამხრეთ კორეის დემოკრატიული ორგანიზაციებისა და მოღვაწეების ეს დევნა დაუყოვნებლივ და სავსებით არ შესწყდა.

საბჭოთა მთავრობას საჭიროდ მიაჩნია, რომ ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციამ ერთობლივ კომისიაში მიიღოს სათანადო მითითებანი ამერიკის შეერთებული შტატებისა და სსრ კავშირის მთავრობებს შორის ამა წლის აპრილში მიღწეული შეთანხმების შესასრულებლად და წინააღმდეგი არ არის თქვენი წინადადებისა, რომ ერთობლივმა კომისიამ მოხსენება წარმოადგინოს მუშაობის მდგომარეობის შესახებ, რათა თვითეულმა მთავრობამ შესძლოს დაუყოვნებლივ იმსჯელოს, თუ რა ნაბიჯების გადადგმა იქნება საჭირო მოსკოვის გადაწყვეტილების მიზნების შესასრულებლად. საბჭოთა დელეგაციას მიეცა მითითებანი ზემოხსენებულის შესაბამისად".

ბ-ნმა ჯ. მარშალმა და ვ. მ. მოლოტოვმა თავიანთი წერილების პირები გაუგზავნეს დიდი ბრიტანეთისა და ჩინეთის მთავრობებს.

რუმინეთის პარლამენტმა მოახდინა საზავო ხელშეკრულების რატიფიკაცია

ბუქარესტი, 23 აგვისტო. (საქდესი). დღეს რუმინეთის პარლამენტში შესდგა საზავო ხელშეკრულების საზეიმო რატიფიკაცია. სხდომას დაესწრო რუმინეთის მთავრობის სრული შემადგენლობა პრემიერ-მინისტრ დოქტორ პეტრუ გროზას მეთაურობით. პარლამენტში წარმოდგენილი ყველა პოლიტიკური პარტიის დეპუტატები თავიანთ სიტყვებში სავსებით დაეთანხმნენ საპარლამენტო ჯგუფისა და პარტიების წინადადებას — რატიფიცირებულ იქნას საზავო ხელშეკრულება, აგრეთვე გამოსთქვეს რუმინელი ხალხის დიდი მადლობა სსრ კავშირის მთავრობისა და მისი მეთაურის გენერალისიმუს ი. ბ. სტალინისადმი რუმინეთის დამოუკიდებლობის თანმიმდევრული დაცვისათვის.

პარლამენტმა ერთხმად მოახდინა საზავო ხელშეკრულების რატიფიკაცია. დასასრულ თავმჯდომარემ პარლამენტის ვიცე-პრეზიდენტმა ემანუილ ტატარესკუმ გამოაქვეყნა გენერალისიმუს ი. ბ. სტალინისა და ვ. მ. მოლოტოვისადმი მიმართული დეპეშების ტექსტი, რომლებშიც გამოთქმულია მადლობა; ეს დეპეშები მოიწონა პარლამენტმა.

მოსკოვის 800 წლისთავისათვის

მ. ვ. ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის უნივერსიტეტი

მოსკოვის უნივერსიტეტის მთელი ისტორია მჭიდროდაა დაკავშირებული დედაქალაქის გმირულ წარსულთან. უნივერსიტეტს საფუძველი ჩაეყარა უდიდეს გარდაქმნათა ეპოქაში და გაიზარდა მოსკოვთან ერთად. 1812 წლის დიდი ხანძრის შემდეგ მოსკოვის უნივერსიტეტი ისე, როგორც მთელი მოსკოვი, ხელახლა აღსდგა ფერფლიდან. „მოსკოვის უნივერსიტეტი — სწერდა ა. გერცენი — თავისი მნიშვნელობით გაიზარდა მთელ მოსკოვთან ერთად 1812 წლიდან".

რუსი ხალხის საამაყო შვილი, დიდი მეცნიერი მ. ვ. ლომონოსოვი, რომლის სახელსაც ამჟამად უნივერსიტეტი ატარებს, იყო მოსკოვის უნივერსიტეტის ფუძემდებელი. „ჩემი ერთად-ერთი სურვილია, — სწერდა ლომონოსოვი თავის მეგობარ შუვალოვს, — რომ სასურველი მიმართულება მივცე უნივერსიტეტს, სადაც შეიძლება აღიზარდონ ურიცხვი ლომონოსოვები".

მოსკოვის უნივერსიტეტმა ბრწყინვალედ გაამართლა თავისი დამაარსებლის წინასწარმეტყველება. მან მართლაც მისცა ქვეყანას „ურიცხვი ლომონოსოვები". მოსკოვის უნივერსიტეტისგან დავალებულია არა მარტო დიდი რუსი ხალხის კულტურის ცენტრები, არამედ ჩვენი სამშობლოს ყველა რესპუბლიკა და უცხოეთის ქვეყნებიც. „მრავალი, მრავალი მნათობი გამოვიდა ცხოვრებაში მოხოვაიას შენობიდან, თავისი გულიდან მისცა მან სისხლი უმცროს ძმებს განათლებისა და თავიანთი ქვეყნების განთავისუფლების საქმისათვის", — სწერდა მოსკოვის უნივერსიტეტის ყოფილი სტუდენტი, დიდი სტალინის ერთგული მეგობარი და თანამებრძოლი ს. სპანდარიანი.

გამოჩენილი სწავლულები — სტოლეტოვი, სეჩენოვი, ლებედევი, მარკოვნიკოვი, სკლიფასოვსკი, კოვალევსკი, ჟუკოვსკი, ტიმირიაზევი და ათობით სხვა, რომლებმაც მთელ მსოფლიოში გაუთქვეს სახელი რუს ხალხს და მის მეცნიერებას, აღიზარდნენ მოსკოვის უნივერსიტეტის კედლებში. აქ შექმნეს მათ უძვირფასესი შრომები, აღზარდეს თავიანთი მოწაფეები და გაიჩინეს მიმდევრები.

მოსკოვის უნივერსიტეტის სახელთან არის დაკავშირებული საზოგადოებრივ მეცნიერებათა, ლიტერატურისა და ხელოვნების მსოფლიო კორიფეების — გერცენის, ოგარიოვის, ბელინსკის, გრიბოედოვის, ლერმონტოვის, ჩეხოვის და სხვათა სახელები. მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტი იყო ჭაბუკი გერცენი, როცა თავის მეგობარ ოგარიოვთან ერთად ვოროზიოვის გორაზე ავიდა და წმინდა ფიცი დასდო ხალხისადმი ერთგულებაზე, თვითმპყრობელობისა და ბატონყმური კლანჭებისაგან მისი განთავისუფლებისათვის შეუდრეკელ ბრძოლაზე. აქვე „დაუდგრომელი ბესარიონი"—ბ. ბელინსკი სწერდა თავის დრამას „დიმიტრი კალინინი", რომელშიც სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა ბატონყმურ წესწყობილებას და თვითმპყრობელობას.

1897-1899 წლებში მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე ლექციებს ისმენდა დიდი სტალინის ერთგული მეგობარი და თანამებრძოლი ალ. წულუკიძე. შემთხვევითი არ იყო, რომ ალექსანდრე (საშა) წულუკიძემ მარქსიზმის შესასწავლად ნაცვლად დასავლეთ ევროპისა (სადაც „მესამე დასის" უმრავლესობა გზავნიდა ჩვეულებრივ თავის წარმომადგენლებს), მოსკოვი და მისი უნივერსიტეტი აირჩია. მან კარგად იცოდა, რომ, მიუხედავად ცარიზმის მიერ გაფთრებული დევნისა, აქ მთელი მგზნებარებით სჩქეფდა თვითმპყრობელობის საწინააღმდეგო მოწინავე იდეები.

მოსკოვის უნივერსიტეტისა და რუმიანცევის მუზეუმის ბიბლიოთეკის სქელტანიანი წიგნების, მარქსის, ენგელსის, პლეხანოვისა და განსაკუთრებით ლენინის ადრინდელი შრომების დახმარებით ჩამოყალიბდა ა წულუკიძის თეორიული შეხედულებები. სწავლასთან ერთად წულუკიძე ახერხებდა პრაქტიკულ-რევოლუციურ მუშაობასაც. მოსკოვის უნივერსიტეტთან არსებული ქართველ სტუდენტთა სათვისტომო, რომელშიც „ლეგალური მარქსიზმის" გავლენა იჭრებოდა, ა. წულუკიძის მეცადინეობით სწორ გზას ადგება. მისმა რეფერატმა „ახალი ტიპი ჩვენს ცხოვრებაში" მრავალი სტუდენტი რევოლუციური მარქსიზმისაკენ შემოაბრუნა და ცარიზმის უღლისაგან მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის საქმეში ჩააყენა.

მიმდინარე წლის მაისში მოსკოვის უნივერსიტეტს ესტუმრა მოძმე იუგოსლავიის ფედერაციულ რესპუბლიკაში შემავალი სერბიის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი პროფესორი ა. ი. ბელიჩი. იგი მოსკოვის უნივერსიტეტის მიერ არის აღზრდილი. მან 1899 წელს დაამთავრა სიტყვიერების ფაკულტეტი და სლავური ფილოლოგიის ცნობილი მცოდნე გახდა. უნივერსიტეტი გულთბილად შეხვდა სტუმარს. ა. ი. ბელიჩმა სიყვარულით დაათვალიერა ნაცნობი დარბაზები, ესაუბრა უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებს და სტუდენტებს, წაიკითხა რამდენიმე ლექცია სლავური ენათმეცნიერებისა და სერბული დიალექტოლოგიის ციკლიდან. გამგზავრების წინ მან შთაბეჭდილებათა წიგნში ჩასწერა: „მოსკოვის უნივერსიტეტი იყო და მუდამ იქნება მანათობელი ლამპარი ყველა ხალხისათვის. დაე, მუდამ დღეგრძელობდეს ის".

ასეთ სტუმრებს ბევრს იღებს მოსკოვის უნივერსიტეტი.

* * *

რევოლუციამდე მოსკოვის უნივერსიტეტის კედლებში მკაფიოდ იყო წარმოდგენილი „ორი მემკვიდრეობა", „ორი რუსეთი" (ლენინი). ერთის მხრივ ოფიციალური სახაზინო მეცნიერება და მთავრობის პოლიტიკის მიმართ კეთილგანწყობილი ჩინოვნიკების მომზადება, მეორე მხრივ ღრმა მეცნიერული შემოქმედება, რომელიც, დევნისა და შევიწროების მიუხედავად მაინც არსებობდა და ვითარდებოდა, — ასეთი იყო ის ორი ძირითადი მიმდინარეობა, რომელიც მუდამ ებრძოდა ერთმანეთს მოსკოვის უნივერსიტეტის კედლებში.

თაობიდან თაობაზე გადადიოდა უნივერსიტეტის მოწინავე ადამიანთა შეხედულებანი, რომლებიც ყოველთვის უფრო ახლო იდგნენ რეალურ ცხოვრებასთან, ხალხის გულთან, ვიდრე რომელიმე მეცნიერება სხვა ქვეყანაში.

რუსეთის პირველი რევოლუციის წინ მოსკოვის უნივერსიტეტი რევოლუციური მოძრაობის მძლავრი უჯრედი გახდა. თვითმპყრობელობის ორგანოები — განათლების სამინისტრო და პოლიცია ცდილობდნენ აღმოეფხვრათ უნივერსიტეტში „რევოლუციური სული", მაგრამ ამაოდ. სტუდენტთა მოძრაობა მჭიდროდ იყო გადანასკვული მუშათა მოძრაობასთან, მთავრობას არ შეეძლო მათი გათიშვა.

1902 წლის 22 (9) თებერვალს მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტობამ მძლავრი დემონსტრაცია მოაწყო. ეს იყო სტუდენტთა სერიოზული გამოსვლა დესპოტიზმის წინააღმდეგ. ამ გამოსვლასთან დაკავშირებით დააპატიმრეს 400-ზე მეტი სტუდენტი. განათლების მაშინდელი მინისტრი გენერალ-ადიუტანტი ვანოვსკი წინადადებას იძლეოდა დაუყოვნებლივ გაერიცხათ უნივერსიტეტიდან ყველა, ვინც დაპატიმრებული იყო 9 თებერვლის ამბების გამო. მაგრამ მიუხედავად ასეთი ზომებისა, სტუდენტთა მოძრაობა კიდევ უფრო გაღრმავდა და გაფართოვდა. დემონსტრაცია უფრო დიდი მასშტაბით და წინასწარ შემუშავებული გეგმით განმეორდა 2 მარტს (17 თებერვალს). ამ დღეს სტუდენტები შეიკრიბნენ პუშკინის ძეგლთან და წითელი დროშებითა და რევოლუციური სიმღერებით დაიძრნენ ნიკიტის ბულვარისაკენ. პოლიციამ ვერ შესძლო დემონსტრაციის შეკავება და დასახმარებლად ჯარის დიდი შენაერთი გამოიწვია. ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ, რომლის დროსაც მრავალი სტუდენტი გმირულად დაეცა, დაპატიმრებულ იქნა დემონსტრაციის 600-მდე მონაწილე. ამათში 537 მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტი იყო. დაპატიმრებულთაგან 95 ირკუტსკის გუბერნიაში იქნა გადასახლებული 2-დან 5 წლამდე, დანარჩენებს კი პატიმრობა მიესაჯა 3-დან 6 თვემდე.

რუსეთ-იაპონიის ომმა კიდევ უფრო გააძლიერა მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტთა რევოლუციური მოძრაობა. სტუდენტთა დიდი უმრავლესობა მეფის დაპყრობითი პოლიტიკის წინააღმდეგ წავიდა და რუსეთის მუშათა კლასთან ერთად ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლისათვის მზადებას შეუდგა. ამ დღეებში უნივერსიტეტში იშვიათი იყო წყნარი და უშფოთველი დღე, ხოლო 1904 წლის 5-6 (18-19) დეკემბერს მოეწყო ისეთი მძლავრი დემონსტრაცია, როგორიც მანამდე არ ახსოვდა უნივერსიტეტის ისტორიას. დემონსტრაციაში მონაწილეობდა მოსკოვის ყველა უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტობა. სტუდენტთა დემონსტრაცია შეთანხმებული იყო მუშათა გამოსვლებთან. ამ დემონსტრაციის აქტიური მონაწილე, მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი ს. სპანდარიანი მამას სწერდა: „....წაიკითხე მოსკოვის დემონსტრაციის შესახებ?.. ეს იყო რაღაც მრისხანე, გრანდიოზული! საწყენია მხოლოდ, რომ მოკლეს რამდენიმე სტუდენტი. მრავალი დაიჭრა და დამახინჯდა. მთავრობა იმდენად იყო შეშინებული, რომ არტილერია გამოიწვია, ხოლო პოლიციის და კაზაკების მხეცობამ ყოველგვარ საზღვარს გადააჭარბა. დემონსტრაცია ჩატარდა ერთდროულად ტვერზე, კუზნეცკზე, დმიტრიევსკზე, ლიუბლინზე, ვოზდვიჟენკაზე, არბატზე, ნიკიტზე. არ დავფარავ, რომ მონაწილეობას ვიღებდი მეც, მაგრამ მშვიდობით გამოვედი. თუმცა ჩემი ქუდი ბრძოლის ველზე დარჩა და ცოტათი მიმბეგვეს კიდეც, მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ მეც ჩემი ჯოხით ჩინებულად ვცემდი ზურგში და თავში პოლიციელებს". (იხ. ს. სპანდარიანი, — სტატიები, წერილები, დოკუმენტები. გვ. 298). „უნივერსიტეტის პრობლემა" თვითმპყრობელობის თავსატეხი საგანი გახდა. ყოველგვარი ზომები — გარიცხვა, დაპატიმრება, გადასახლება— საწინააღმდეგო შედეგს იძლეოდა.

„კარგ მარწუხშია მომწყვდეული ტრეპოვები და რომანოვები,—სწერდა ვ. ი. ლენინი 1905 წ. 11 (24) ოქტომბერს—... გახსნი უნივერსიტეტს, მისცემ ტრიბუნას სახალხო რევოლუციური კრებებისათვის, — დაუფასებელ სამსახურს გაუწევ სოციალ-დემოკრატიას, დახურავ უნივერსიტეტს — გახსნი ქუჩის ბრძოლას". (ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. VIII, გვ. 312, გამ. III).

1905 წლის დეკემბრის შეიარაღებულ აჯანყებაში მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტობამ მხურვალე მონაწილეობა მიიღო. სტუდენტობა არა მარტო საგიტაციო-პროპაგანდისტულ მუშაობას ეწეოდა, არამედ იარაღით ხელში ებრძოდა თვითმპყრობელობას.

დეკემბრის შეიარაღებულ აჯანყებაში მოსკოვის უნივერსიტეტის მონაწილეობას მაღალი შეფასება მისცა ვ. ლენინმა და წერილში „მოსკოვის ამბების გაკვეთილები" მას „რევოლუციური უნივერსიტეტი" უწოდა (ვ. ლენინი, თხზულებანი, ტ. VIII, გვ. 312). ეს საპატიო სახელი უნივერსიტეტმა თავის მეცნიერ მუშაკთა და სტუდენტთა სისხლით მოიპოვა.

მოსკოვის დეკემბრის აჯანყებაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს მოსკოვის უნივერსიტეტის მაშინდელმა სტუდენტებმა, შემდეგში ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციის გამოჩენილმა წევრებმა, ბაქოში გმირულად დაღუპულ კომისართა პლეადის წევრებმა თ. ნიკოლაიშვილმა, ს. ოსეპიანმა და გ. ყორღანოვმა. მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტი ს. სპანდარიანი ამ დროს თბილისში იმყოფებოდა და დიდი სტალინის მითითებით, როგორც რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის წევრი, სხვადასხვა საპასუხისმგებლო დავალებებს ასრულებდა. გაიგო თუ არა აჯანყების მზადების შესახებ, სპანდარიანმა სასწრაფოდ მიაშურა მოსკოვს და მთელი არსებით ჩაება რევოლუციურ მუშაობაში. ს. სპანდარიანი და მისი ამხანაგები კრასნაია პრესნიას მუშათა რაიონში ეწეოდნენ რევოლუციურ-პარტიულ მუშაობას და იარაღით ხელში ებრძოდნენ თვითმპყრობელობას, ხოლო აჯანყების დამარცხების შემდეგ მოსკოვის უნივერსიტეტის რევოლუციურ სტუდენტებთან ერთად გარიცხულ იქნენ უნივერსიტეტიდან.

* * *

დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ მოსკოვის უნივერსიტეტი გაათავისუფლა რომანოვებისა და პურიშკევიჩების რეჟიმისაგან.

ლოზუნგი „მეცნიერება მშრომელებს", რომელიც ოქტომბრის ბობოქარ დღეებში გაჩნდა მოსკოვის უნივერსიტეტის კედელზე, არა მარტო იმას გამოხატავდა, რომ მეცნიერება ჩვენში მასებისათვის ხელმისაწვდომი გახდა, არამედ იმასაც, რომ შეიცვალა მეცნიერების დანიშნულებაც. საღი მეცნიერული აზრი, რომელიც საუკუნეების განმავლობაში მათრახით იდევნებოდა, ჩადგა სოციალიზმის სამსახურში.

სტალინური ხუთწლედების მანძილზე მთელ ჩვენს ქვეყანასთან ერთად გაიზარდა მოსკოვის უნივერსიტეტი. მას შეემატა ახალი ინსტიტუტები, ლაბორატორიები, ფაკულტეტები, კათედრები, გაიზარდა მეცნიერ მუშაკთა და სტუდენტთა რიცხვი.

1940 წელს უნივერსიტეტმა იზეიმა თავისი არსებობის 185 წლის თავი და მას მიეკუთვნა თავისი დამაარსებლის— მ. ვ. ლომონოსოვის სახელი. ქვეყნის წინაშე უდიდესი დამსახურებისათვის უნივერსიტეტი დაჯილდოებულ იქნა ლენინის ორდენით.

ეს იყო მთელი ჩვენი ქვეყნის კულტურის ზეიმი.

1941 წლის 22 ივნისს ჰიტლერული გერმანიის მუხანათურმა თავდასხმამ დაარღვია ჩვენი ქვეყნის მშვიდობიანი ცხოვრება. დიდი სტალინის მოწოდებით მთელ ჩვენს ქვეყანასთან ერთად ფეხზე დადგა მ. ვ. ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის ლენინის ორდენოსანი უნივერსიტეტიც.

23 ივნისს უნივერსიტეტის კომკავშირის ორგანიზაციის კრებამ, რომელიც ღამის 2 საათზე დამთავრდა, ასეთი დადგენილება მიიღო: „უნივერსიტეტის კომკავშირის ორგანიზაცია გამოცხადებულ იქნას მობილიზებულად სამშობლოს დასაცავად".

ეს იყო ჭეშმარიტად ისტორიული კრება, რომელიც სავსებით შეეფერებოდა უნივერსიტეტის გმირულ ტრადიციას. ორატორები ფიცს სდებდნენ სამშობლოსა და დიდი სტალინის წინაშე, რომ სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოლებდნენ საყვარელი სამშობლოსათვის. განუწყვეტელ ნაკადად იწყო დენა უნივერსიტეტის ახალგაზრდობამ ფრონტისაკენ. საბჭოთა არმიის რიგებში ჩადგა 3 ათასზე მეტი მეცნიერი მუშაკი და სტუდენტი.

ომის უმძიმეს დღეებშიც კი მოსკოვის უნივერსიტეტს არ შეუწყვეტია ფრონტისადმი დახმარება. უნივერსიტეტის ეზოში, სახურავზე, სადარაჯო ფურდულებზე თუ სხვა პოსტებზე გატარებული უძილო ღამეების შემდეგ პროფესორები, მეცნიერი მუშაკები, ასპირანტები ლაბორატორიებსა და სახელოსნოებში მიეშურებოდნენ და იქ ამზადებდნენ მტერზე გამარჯვებისათვის საჭირო ხელსაწყო-იარაღებს. მარტო ფიზიკის სამეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტმა ავიაციის შეიარაღებაში მის მიერ შეტანილი გაუმჯობესებისათვის 10 მადლობა მიიღო ფრონტის სარდლობისაგან. მექანიკის ინსტიტუტმა საბრძოლო ტექნიკის მთელი რიგი დეტალების წარმოებაში ახალი წესი შეიტანა. ბიოლოგიის ფაკულტეტის ლაბორატორიამ აღმოაჩინა სისხლდენის შემაჩერებელი ახალი საშუალება, რომელმაც მრავალ დაჭრილ მებრძოლს სიცოცხლე შეუნარჩუნა.

სამამულო ომის ძლევამოსილად დამთავრების შემდეგ უნივერსიტეტიდან ფრონტზე წასულთაგან ბევრი დაბრუნდა საბჭოთა კავშირის გმირის წოდებით, ორდენებითა და მედლებით.

ამჟამად მოსკოვის უნივერსიტეტის კოლექტივი, რომელიც 2 ათასზე მეტ მეცნიერ მუშაკს (ამათში 22 სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრი და წევრ-კორესპონდენტია, 20 პედაგოგიურ მეცნიერებათა აკადემიის წევრი, 61 სტალინური პრემიის ლაურეატი, 20 მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე და სხვ.) და 8 ათასამდე სტუდენტს აერთიანებს, ენერგიულად იბრძვის დიდი სტალინის მიერ საბჭოთა მეცნიერების წინაშე დასახული ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის. ინსტიტუტებსა და კათედრებზე მიმდინარეობს მრავალმხრივი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა.

უნივერსიტეტის ცხოვრებაში უდიდესი როლი შეასრულა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებამ იდეოლოგიურ ფრონტზე მუშაობის გაუმჯობესების შესახებ. ისტორიის, ფილოსოფიის, იურიდიული და ეკონომიკის ფაკულტეტების მუშაობა მჭიდროდ დაუკავშირდა თანადროულობის აქტუალურ საკითხებს. რუსული ფილოსოფიის ისტორიის, მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების, ფსიქოლოგიისა და სხვა კათედრები მუშაობენ მსოფლიო მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაში რუსული მეცნიერებისა და კულტურის როლისა და მნიშვნელობის საკითხებზე. ბევრი საგულისხმო თემა ამ დარგში უკვე დამუშავებულია. მოსკოვის 800 წლისთავთან დაკავშირებით უნივერსიტეტი მოახდენს თავისი მუშაობის ერთგვარ შეჯამებას. ამ ღირსსახსოვარ დღესასწაულს სპეციალური სამეცნიერო სესია მიეძღვნება.

მოსკოვის 800 წლისთავის ზეიმი მოსკოვის უნივერსიტეტის — დედაქალაქის ამ სიამაყის ზეიმიც არის.

გ. სიხარულიძე

მოსკოვი, აგვისტო.

მსუბუქი მრეწველობის მოწინავე საწარმოთა წარმატებანი

სსრ კავშირის საფეიქრო მრეწველობის სამინისტროს „გლავშერსტის" მოწინავე საწარმოთა კოლექტივებმა განავითარეს შეჯიბრება დიდი ოქტომბრის 30-ე წლისთავის აღსანიშნავად და მნიშვნელოვან საწარმოო წარმატებას მიაღწიეს. მათ ვადამდე შეასრულეს 8 თვის პროგრამა და პროდუქციას იძლევიან სექტემბრის ანგარიშში. მოსკოვის ოლქის პოდოლის რაიონის პირველი მაისის სახელობის სართავმა ფაბრიკამ სასაქონლო ნართის გამოშვების ომამდელ დონეს მიაღწია. ნოვონოგინსკის საფეიქრო გამომყვანმა და პუშკინოს წმინდა მაუდის ფაბრიკებმა გადააჭარბეს 1940 წლის სადღეღამისო გამომუშავებას.

„გლავშერსტის" საწარმოები წარმოების შემდგომი გაფართოებისათვის ემზადებიან. მიმდინარეობს ახალი მოწყობილობის მონტაჟი კალინინის სახელობის ფაბრიკაში, მონინის კომბინატში და სხვ. წლის დამლევამდე დამატებითი სიმძლავრენი ამუშავდება ლენინგრადის ტელმანის სახელობის კომბინატში, ბრიანსკის ოლქის კლინცის რაიონის ფაბრიკებში და მთელ რიგ სხვა საწარმოებში. (საქდესი).

ისტორიის ინსტიტუტის ქართული მუსიკალური ფოლკლორის განყოფილების ექსპედიცია მთათუშეთში

მთათუშეთი, („კომუნისტის" სპეც. კორ.). აგვისტოს პირველი რიცხვებიდან აქ მუშაობს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის ქართული მუსიკალური ფოლკლორის განყოფილების ექსპედიცია. ექსპედიციას ხელმძღვანელობს ამავე განყოფილების გამგე პროფესორი შალვა ასლანიშვილი. ექსპედიციის მიზანია გამოავლინოს და აფსკზე გადაიღოს ძველი და ახალი თუშური სიმღერების ნიმუშები იმ კილოკავებით, როგორც არის გავრცელებული თუშეთის მოსახლეობაში.

ექსპედიციამ დღემდე ფონოგრაფით ჩაიწერა 30 სიმღერა, მათ შორის „დალაობა", „ლაშარის სიმღერა", „მეცხვარის სიმღერები", „სალამური", რამდენიმე „საცეკვაო" და სხვ.

ექსპედიციამ უკვე დაამთავრა თავისი მუშაობა მთათუშეთში და გაემგზავრა ამავე მიზნით ტბათანაზე, სადაც სააგარაკოდ გასულნი არიან ზემო ალვანში მცხოვრები წოვა-თუშები.

არ. კოკილაშვილი

პარტიული ცხოვრება

როცა კომკავშირული ორგანიზაცია მოკლებულია ხელმძღვანელობას

ერთი წელია, რაც ს. ყურაშვილი ოფელ გორდის (წულუკიძის რაიონი) ჭკორის სახელობის კოლმეურნეობის კომკავშირული ორგანიზაციის დივნად აირჩიეს. ამხ. ყურაშვილს დიდი სურვილი ჰქონდა კარგად მოეწყო მკავშირული მუშაობა, მაგრამ როგორ და რა გზით—ამის გამოცდილება ს არ გააჩნდა. მან კარგად ისიც არ ოდა, რა იყო კომკავშირული დავაება, როგორ მოემზადებინა კრება, საკითხებისთვის მიექცია ყურადება, როგორ გაეფორმებინა ოქმები. არჩეულ მდივანს, რომელსაც მკავშირული მუშაობის გამოცდილება არ ჰქონდა, დახმარება სჭირდება. მაგრამ ეს დახმარება მას არან გაუწია.

დივანმა გადასწყვიტა მოეწვია კომკავშირული კრება, მაგრამ დღის წესრიგი და კრების მოწვევის დღე წინასწარ არ უცნობებია კომკავშირელებისთვის. ამიტომაც 18 კომკავშირელიდან კრებას მხოლოდ შვიდი დაესწრო. ეს უკანონო და მოუმზადებელი კრება რამდენიმე წუთს გაგრძელდა, ბითი მას არაფერი განუხილავს და კომკავშირელებიც უხალისოდ დაიშალნენ.

ელს მარტში ამ ორგანიზაციის ინსტრუქტაჟის გასაწევად კომკავშირის წულუკიძის რაიკომის მუშაკი რატიანი ესტუმრა. მან ყურაშვილს დაუწუნა ოქმები, უსაყვედურა — კომკავშირელებისათვის დავალება არ მიგიცია, არ გიზრუნია მათი იდეური დონის ამაღლებისათვისო. საქმე ამით ამოსწურა მან თავისი „ინსტრუქტაჟი“, არავითარი რჩევა-დარიგება არ მისცა მდივანს და ისე დაბრუნდა უკან.

რას აკეთებს საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაცია, როგორ ხელმძღვანელობს კომკავშირს? პასუხი ერთია, კომკავშირისადმი მისი ხელმძღვანელობა სრულიად არადამაკმაყოფილებელია. მართალია, პარტიულმა ორგანიზაციამ წელს სამჯერ მოისმინა კომკავშირის ორგანიზაციის მდივნის ინფორმაცია, მაგრამ რა ფასი აქვს საკითხის ფორმალურ განხილვას, თუ მას არავითარი შედეგი არ მოჰყვება. პარტიული ორგანიზაციის მიერ მიღებული დადგენილებანი ზერელე და ზოგადია, მასში არ არის ნაჩვენები ნაკლოვანებათა გამოსწორების გზები. ამ დადგენილებებმა კომკავშირული ორგანიზაციის მდივანს ვერაფერი ასწავლეს, ხოლო პარტიულ ორგანიზაციას პრაქტიკულად არაფერი გაუკეთებია კომკავშირის მუშაობის გასაუმჯობესებლად. ამიტომ საკვირველი როდია, რომ კვლავ ცუდად მუშაობს კომკავშირი. ახალგაზრდობაში პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა არ სწარმოებს, კომკავშირელებს არა აქვთ დავალება, ისინი არ მუშაობენ თავიანთი იდეური დონის ამაღლებისათვის. დაბალია კომკავშირელთა ავანგარდული როლი კოლმეურნეობაში, მათ დიდ ნაწილს შრომადღეების მინიმუმიც არა აქვთ გამომუშავებული. კომკავშირელმა ჟ. გელენიძემ წელს 8,11 შრომადღე გამოიმუშავა, ქ. კირტაძემ—1 შრომადღე, ხოლო თ. ჩიქოვანს სრულიად არაფერი გაუკეთებია.

საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციის მდივანს ამხ. კ. ჩიქოვანს უნდა მოვაგონოთ—კომკავშირის მუშაობის ჩაშლისათვის პასუხისმგებლობა პირველ რიგში მას ეკისრება.

ი. ხარიბაშა
„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

აგარის შაქრის ქარხანა სეზონის წინ

რ კავშირის მოწინავე შაქრის ნების მუშათა და ინჟინერ-ტექნითა წერილს ხალხთა დიდი ბელაამხანაგ სტალინისადმი, დროუგამოეხმაურა აგარის ბერიას საობის შაქრის ქარხნის კოლექტივი. სეზონისათვის მზადება აქ ჯერ მაისის პირველ რიცხვებში ყო. ქარხნის საამქროებსა და ებში ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება. რეის მეორე კვარტალის გეგმა ქარპირველი ივლისისათვის 57 ცენტით უნდა შეესრულებინათ, იურად 58,1 პროცენტით შეასრუცალკეული საამქროები, ცვლები ტახანოველები დიდი გადაჭარბეასრულებენ ნაკისრ ვალდებულე-

ლს რემონტის პერიოდში ქარხანალიანად გამოსცვალეს წვენის გალტრი სადგურის დანადგარები. ების ნაცვლად დაიდგა 8 ახალი ტრ-პრესი. უკვე დამთავრდა და პლოატაციოდ არის გადაცემული ის ელექტროგადამცემი ხაზი, ანაც ქარხანა რემონტის პერიოდენერგიას იღებს. ქარხანაში დამა სდგამენ ორთქლის ახალ ქვაბს, დააჩქარებს შაქრის ჭარხლის გამავებას. სწარმოებს აგრეთვე ლის მიმღები პუნქტებისა და მუსაერთო საცხოვრებლების შება.

1947-48 წლების სეზონში შაქრის ნამ უნდა გამოუშვას 570 ათასი შაქარი. ქარხნის კოლექტივმა ახალი ხუთწლედის მეორე გეგმა მზა პროდუქციის გამოშდარგში შეასრულოს 7 ნოემბრის.

მაგრამ ამ ვალდებულების შესრულებისათვის ქარხანას ჯერჯერობით ყველა პირობა არა აქვს. ქარხანამ რემონტი ძირითადად პირველი სექტემბრისათვის უნდა დაამთავროს. როგორც ვხედავთ დრო ცოტა დარჩა. რემონტის საქმეში კი ადგილი აქვს მთელ რიგ სერიოზულ ნაკლოვანებებს: ჭარხლის მისაზიდი პუნქტების ჩიხების შეკეთება ძალზე ჭიანურდება, საამისოდ საჭირო 3.000 ცალი შპალი „გლავსახარს“ დღემდის არ მოუწოდებია ქარხნისათვის; გომისა და ხაშურის მიმღებ პუნქტებში ჯერ არ არის დაწყებული ჭარხლის დასაზვინი მოედნის გაწმენდა-მოსწორება. ჩასატარებელია კასპის მიმღები პუნქტის განათების სამუშაოები. ქარხანა არ არის უზრუნველყოფილი სასწორების წვრილმანი ნაწილებით. მიმღებ პუნქტებში საკმაო რაოდენობით არ მოიპოვება ლამპები, მომსახურე მუშებისათვის საწოლები და სხვა. არასაკმარისია დამზადებულ დაზვინულ ჭარხალზე დასაფარებელი ჭილობები. ჭილობების დასამზადებლად საჭირო მცენარე—ლელი არახელსაყრელი კლიმატური პირობების გამო წელს საკმაო რაოდენობით არ მოიპოვება ქარელის რაიონში. ამიტომ საჭიროა ქარხნის ხელმძღვანელობამ ახლავე იზრუნოს ამ მეტად საჭირო მცენარის მეზობელ რაიონებში დასამზადებლად.

ქარხნის დირექციამ, პარტიულმა, კომკავშირულმა ორგანიზაციებმა და საქარხნო კომიტეტმა გადამჭრელი ზომები უნდა მიიღონ არსებულ ნაკლოვანებათა სასწრაფოდ გამოსწორებისათვის.

ვ. გურგენიძე
„კომუნისტის“ კორესპონდენტი

კოლმეურნეთა ინიციატივით

ნინგორის რაიონის მთელმა რიგმა ეურნეობებმა მიმდინარე წელს დახმარება გაუწიეს სკოლებს სასწავლო წლისათვის მზადების ში.

ქოლისა და გარუბნის კოლმეურნეობებმა თავიანთი ინიციატივით ააგეს ში ახალი საკლასო ოთახები. სოსალბიერის კოლმეურნეობამ მეტწლიანი სკოლის შენობას გა ახალი იატაკი, შეურემონტა ები. ასეთივე სამუშაო შეასრულა ლ წოლდის დაწყებით სკოლაში სოფლის კოლმეურნეობამ.

ძუკათიყაუს, ცხილონის, ორჭოსანის კოლმეურნეობებმა თავიანთი სოფლების სკოლებში ჩაატარეს რემონტი. კოლმეურნეობების ხელოსნებმა შეაკეთეს აგრეთვე სკოლის მთელი ინვენტარი.

ახალი სასწავლო წლისათვის რაიონის ყველა სკოლა და სასკოლო ინვენტარი კარგად არის შეკეთებული.

კოლმეურნეობები ამჟამად ამზადებენ შეშას სკოლებისათვის.

ვ. გელაშვილი
„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

კარტოფილის გეგმის გადამეტებით

ელ ახაშნის (გურჯაანის რაიონი) ტალინის სახელობის კოლმეურბაში კარგად არის მოწყობილი მა, მტკიცეა დისციპლინა, ზუსასრულებენ აგროწესებს. კოლე ნ. მელექსიშვილმა კარგი მოსავ 1.500 კვადრატულ მეტრზე 7.115 გრამი კარტოფილი მოიყვანა, 325 პროცენტით შეასრულა. რმატებისათვის ამხ. მელექსის პრემია-წანამატის სახით მიეცე266 კილოგრამი კარტოფილი.

ელ ურიათუბნის კოლმეურნეო„წითელ უბანში“ კოლმეურნე ებრიშვილს 0,5 ჰექტარზე გეგ35 ცენტნერი კარტოფილი უნდა მიეღო, ფაქტიურად მოსავალმა 85 ცენტნერს მიაღწია.

კოლმეურნეები პირობას იძლევიან, რომ კარტოფილის მოსავლის შემდგომი გადიდებისათვის შემოდგომაზევე მაღალხარისხოვნად მოხნავენ ნიადაგს, მოიმარაგებენ სასუქებს, თესლს, თესვის წინ საფუძვლიანად გააფხვიერებენ მიწას, შეიტანენ ნაცარს და სხვა სასუქებს, თესვას ჩაატარებენ აგროწესების მტკიცედ დაცვით და მომავალ წელს მიაღწევენ მოსავლიანობის გეგმის სამმაგად და მეტად შესრულებას.

ვ. ციხისთავი
„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

მივცეთ სამშობლოს მეტი ჩაი

მივბაძოთ მოწინავეებს, გამოვასწოროთ ნაკლოვანებანი

ზუგდიდის რაიონის მთელი რიგი კოლმეურნეობები ჩაის ფოთოლს წლიური გეგმის გადამეტებით ჰკრეფენ. ახალსოფლის, რუხის, ჩხორიას და სხვა კოლმეურნეობებმა წლიურ დავალებათა შესრულების შემდეგ მრავალი ათეული ტონა ჩაის ფოთოლი მოჰკრიფეს.

მაგრამ რაიონის ყველა კოლმეურნეობა როდი ჰკრეფს ჩაის ფოთოლს წარმატებით. ჯაქვინჯის ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ლ. როგავა) მოუწესრიგებელია შრომა. 460 მკრეფავიდან დღეში მხოლოდ 90-100 გამოდის სამუშაოზე და ისინიც ნორმებს ვერ ასრულებენ. კოლმეურნეობაში სამი თვის გეგმა 76,4 პროცენტით შესრულდა, 101.400 კილოგრამის ნაცვლად 77.216 კილოგრამი ჩაი მოჰკრიფეს. ივლისის გეგმა აქ მხოლოდ 10,3 პროცენტით არის შესრულებული. დიდი ჩამორჩენაა აგვისტოშიც.

უარესი მდგომარეობაა აბასთუმნის ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ტ. დავითაია); აქ 3 თვის დავალება მხოლოდ 30,3 პროცენტით არის შესრულებული, ხოლო ივლისისა—7 პროცენტით. ბევრად უკეთესად არც აგვისტოში მუშაობენ. 20 აგვისტოსათვის მოკრეფილია 1.900 კილოგრამი ჩაი, თვიური გეგმის 15 პროცენტი.

სამარცხვინო ჩამორჩენაა აგრეთვე სოფელ ხეცერის კოლმეურნეობა „შრომაში“ (თავმჯდომარე ვ. ბერაია), ორჯონიკიძის კოლმეურნეობა „გამარჯვებაში“ (თავმჯდომარე ლ. როგავა), ნარაზენის სტალინის (თავმჯდომარე ვ. თოდუა), გრიგოლიშის როგავას (თავმჯდომარე ვ. ესებუა) და შამგონის კიროვის სახელობის (თავმჯდომარე ვ. შარია) კოლმეურნეობებში.

კოლმეურნეობებში ყოველდღიურად არ ჰკრეფენ ჩაის ფოთოლს. აბასთუმნის ბერიას და სტახანოვის, ნარაზენის სტალინის სახელობის კოლმეურნეობებში, აგრეთვე ხეცერის კოლმეურნეობა „შრომაში“ აგვისტოს პირველ 7-8 დღეში ჩაი არ მოუკრეფიათ. ამის გამო უხვად შემოსული ფოთოლი გაუხეშდა. ასეთივე მდგომარეობაა კახათის კომინტერნისა და კორცხელის მე-17 პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობებში.

სამარცხვინოდ ჩამორჩა ხეცერის ჩაის საბჭოთა მეურნეობა (დირექტორი რ. ფანთია). მაისში, ივნისსა და ივლისში, აქ ნაცვლად 245 ათასი კილოგრამისა, მხოლოდ 208.354 კილოგრამი ჩაი მოჰკრიფეს, რაც გეგმის 85 პროცენტს შეადგენს. აგვისტოში კრეფა კიდევ უფრო შეანელეს, პირველ ორ დეკადაში თვიური დავალება მხოლო 27 პროცენტით შეასრულეს. ამ თვის პირველ ხუთდღიურში სულ არ მოუკრეფიათ ჩაი. მეურნეობაში ხშირად არღვევენ აგროწესებს, ფოთოლს ჰკრეფენ დაბალ ბუჩქებზე. არის უხარისხო ჩაის კრეფის შემთხვევებიც. ივლისსა და აგვისტოში 1.500 კილოგრამზე მეტი უხარისხო ჩაი მოჰკრიფეს.

ხეცერის კოლმეურნეობა „შრომაშიც“ ხშირად არღვევენ ჩაის კრეფის წესებს. აქ 8 აგვისტოს 604 კილოგრამი უხარისხო ჩაი მოჰკრიფეს, რომელიც დაიწუნა ნარაზენის ჩაის ფაბრიკამ. ასევე უხარისხო ჩაის ჰკრეფენ ნარაზენის სტალინის, აბასთუმნის ბერიას და კორცხელის მე-17 პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობებში.

ჩაის ფოთლის კრეფაში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსწორებით კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებმა, საბჭოთა მეურნეობების დირექტორებმა და პარტიულ ორგანიზაციათა მდივნებმა უნდა მიაღწიონ სახელმწიფო დავალების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებას.

ვ. მესხია
„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

ჩაის პლანტაციებს ცუდად უვლიან, ჩამორჩნენ კრეფაში

ცხაკაიას რაიონის სოფელ ეკის სტალინისა და რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობებს ყველა პირობა ჰქონდათ იმისათვის, რომ არა მარტო შეესრულებინათ ჩაის კრეფის გეგმა, არამედ კიდეც გადაეჭარბებინათ მისთვის. მაგრამ ნამდვილად ამ კოლმეურნეობებში დიდი ჩამორჩენაა. პირველმა ივლისში 7.800 კილოგრამის ნაცვლად 4.202 კილოგრამი ჩაის ფოთოლი მოკრიფა, მეორემ — 10.920 კილოგრამის ნაცვლად 6.900 კილოგრამი. გარდატეხა არ სჩანს აგვისტოშიც. 20 აგვისტოსათვის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში 7.100 კილოგრამიდან მოკრეფილი იყო მხოლოდ 4.471 კილოგრამი ჩაი, ხოლო რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობაში — 13.981 კილოგრამიდან 7.957 კილოგრამი.

სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში ძ. კარკალაიას ბრიგადამ აგვისტოში 2.921 კილოგრამი ჩაი უნდა მოკრიფოს, მოკრეფილი აქვს მხოლოდ 1.250 კილოგრამი. ამ ბრიგადაში პლანტაციების მოუვლელობის გამო ჩაის ბუჩქების განვითარება შეფერხებულია. არღვევენ კრეფის წესებსაც, — ჰკრეფენ შემოუსვლელ, განუვითარებელ დუყებს და ამით კიდევ უფრო ამცირებენ მოსავლიანობას, ნორმალური განვითარების საშუალებას უსპობენ ჩაის ბუჩქებს. 21 აგვისტოს შემოუსვლელი ჩაის ფოთოლი მოკრიფეს პირველი ბრიგადის პირველი რგოლის წევრებმა ფ. ჩილაჩავამ და ვ. ჭეიშვილმა, მეორე რგოლის წევრებმა ვ. ფარღალავამ და ვ. ფარცვანიამ. არც ბრიგადირი, არც მერგოლურები თავს არ იწუხებენ იმისათვის, რომ ჩაის ბუჩქებს ნორმალური ზრდა-განვითარების პირობები შეუქმნან. კულტივაცია ზერელედ ჩაატარეს, მიწა ნაჩიჩქნს უფრო ჰგავს, ვიდრე კულტივაციაქმნილს. პლანტაციების ერთი ნაწილი წელს სრულიად არ დაუმუშავებიათ, გაყამირებულია და ეკალ-ბარდითაა დაფარული (მაგალითად, ნაკვეთი „სამაჭავარიანო“) და სხვ. ჩამორჩენილია მეორე ბრიგადაც (ბრიგადირი შ. ფარცვანია). ივლისში ბრიგადამ გეგმით გათვალისწინებული 1.820 კილოგრამის ნაცვლად მხოლოდ 700 კილოგრამი ჩაი მოკრიფა, ხოლო აგვისტოს დავალება 20 რიცხვისათვის სანახევროდაც არ შეუსრულებია. დაუმუშავებელია პლანტაციები, ზოგან წელს სულ არ მოუკრეფიათ ჩაი. უხარისხოდ ტარდება თოხნა. მაგალითად, 21 აგვისტოს მეოთხე რგოლის წევრი სილოვან შურღაია მისთვის მიჩენილ 0,6 ჰექტარ პლანტაციაში მხოლოდ სარეველა ბალახებს სჭრიდა, ისიც ზერელედ, მიწას არ აფხვიერებდა. დასარევლიანებულია ქ. ფარღალავასა და ა. ჩხეტიასათვის მიჩენილი პლანტაციებიც. მაგრამ ისინი ხშირად აცდენენ სამუშაო დღეებს, არღვევენ შრომის დისციპლინას. მოუვლელია კოლმეურნე ქ. მაჭავარიანისათვის მიჩენილი ნაკვეთი „სატაბაღუოც“.

რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობაში დაბალია კრეფის ტემპი. მაგალითად, მესამე ბრიგადის (ბრიგადირი ვ. ჟვანია) 15 ჰექტარ ჩაის პლანტაციაში 20 აგვისტოს მხოლოდ 83 კილოგრამი ჩაი მოკრიფეს. ასევე ცუდად მუშაობენ სხვა დღეებშიც. ბრიგადას თვიური გეგმით გათვალისწინებული 2.200 კილოგრამიდან მხოლოდ 903 კილოგრამი ჩაი აქვს მოკრეფილი. ჩამორჩენილია მეოთხე და მეექვსე ბრიგადებიც (ბრიგადირები კ. გუნია, ე. ადამია). ზოგიერთი კოლმეურნე დაგვიანებით გამოდის სამუშაოზე და დღეში მხოლოდ 2-3 კილოგრამ ჩაის ჰკრეფს. მაგალითად, კოლმეურნე საშა კუჭავა 12 აგვისტოს დღის პირველ საათზე გამოვიდა ჩაის საკრეფად. ასევე იქცევა მეორე ბრიგადის წევრი ლენა აიჭინავა. სრული დატვირთვით არ მუშაობენ კომკავშირელები ფაცია აფხაზავა და ნათელა ადამია. ისინი დღეში 3-5 კილოგრამ ჩაის ჰკრეფენ, თუმცა მათთვის მიჩენილ ნაკვეთში ბევრად მეტი შეიძლება მოიკრიფოს.

ამ მდგომარეობის გაგრძელება დაუშვებელია. კოლმეურნეობათა ხელმძღვანელების მოვალეობაა მაღალნაყოფიერად გამოიყენონ თვითეული დღე, თვითეული საათი, უზრუნველჰყონ როგორც პლანტაციების სანიმუშო მოვლა, ისე ჩაის ფოთლის კრეფის გეგმების წარმატებით განაღდება.

ბ. მილიუტინი
„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

შეასრულეს სახელმწიფოსათვის მზესუმზირას ჩაბარების გეგმა

კაჭრეთის რაიონმა 20 აგვისტოსათვის 111 პროცენტით შეასრულა სახელმწიფოსათვის მზესუმზირას ჩაბარების დავალება. კაკაბეთის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობამ სახელმწიფოს ჩააბარა 1.410 ფუთი მზესუმზირა, ყანდაურის კოლმეურნეობა „გლეხის გამარჯვებამ“ — 1.482 ფუთი, ბოგდანოვკის სტალინის სახელობისამ—1.566 ფუთი. ასეთივე წარმატებით შეასრულეს მზესუმზირას მოსავლის აღებისა და ჩაბარების გეგმები სოფელ ჯიმითის ბერიას, კაჭრეთის მოლოტოვის, ბერიას, მახარაძისა და კაგანოვიჩის, კაკაბეთის ცხაკაიას, იორმუღანლოს სტალინის სახელობის და მრავალმა სხვა კოლმეურნეობამ.

კოლმეურნეობები განაგრძობენ სახელმწიფოსათვის მზესუმზირას გეგმის გადამეტებით ჩაბარებას.

სოფელ შიბლიანის დიმიტროვის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ზირაქიშვილი) მერგოლურმა ნაზო სადუნიშვილმა ჰექტარზე 13 ცენტნერი მზესუმზირა მიიღო. ბრიგადაში, რომელსაც ვ. სადუნიშვილი ხელმძღვანელობს, თვითეულ ჰექტარზე მიღებულია 12,5 ცენტნერი მზესუმზირა. სოფელ ყანდაურის კოლმეურნეობა „გლეხის მარჯვენაში“ (თავმჯდომარე გ. შენგელიძე) პირველი ბრიგადის 7 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიღებულია 11 ცენტნერი მზესუმზირა, მეშვიდე ბრიგადის (ხელმძღვანელი შ. ათაბეგაშვილი) 5 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე—12 ცენტნერი. პირველი ბრიგადის მერგოლურმა ნიკო აბესაძემ 2,5 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე უზრუნველჰყო 28 ცენტნერი მზესუმზირას მიღება.

უშიშროების საბჭოში

ნიუ-იორკი, 23 აგვისტო. (საკდესი). გუშინ უშიშროების საბჭო კვლავ უშედეგოდ მსჯელობდა ინდონეზიის საკითხზე. მას შემდეგ, რაც ამ ცოტა ხნის წინათ ჩაიშალა ამერიკის ცდა—ცალმხრივად ჩარეულიყო დავაში, ისევე როგორც ჩაიშალა სხვა მანევრები მხარი დაეჭირათ ჰოლანდიის ღონისძიებებისათვის, რათა მან გვერდი აუაროს უშიშროების საბჭოს, ამერიკის შეერთებული შტატებისა და სხვა ქვეყნების წარმომადგენლებმა შეიტანეს დამატებითი წინადადებანი და ცდილობდნენ არ დაეშვათ, რომ საბჭოს რაიმე აქცია მიეღო: როცა გუშინ კვლავ გაიხსნა კამათი, წინანდელი წინადადებებიდან განსახილველად დარჩენილი იყო მხოლოდ ერთი—ავსტრალიის რეზოლუცია პოლონეთის შესწორებით. ეს რეზოლუცია ითვალისწინებს ისეთი კომისიის შექმნას, რომელსაც რწმუნება ექნება შეასრულოს ინდონეზიის მთავრობის ორივე მოთხოვნა იმის შესახებ, რომ უშიშროების საბჭომ შეამოწმოს, თუ როგორ სრულდება საბჭოს ბრძანება საომარი მოქმედების შეწყვეტის შესახებ, და შეუდგეს შუამავლობასა და არბიტრაჟს.

დილის სხდომაზე ჰოლანდიის წარმომადგენელმა ვან კლეფენსმა განაცხადა, რომ, თუ საბჭოს სურს ბოლო მოუღოს საომარ მოქმედებას, მან ან საბჭოს ჯარები უნდა გაგზავნოს ინდონეზიაში, ან ჰოლანდიის დართოს ნება გაგზავნოს იქ თავისი ჯარები.

ინდოეთის წარმომადგენელმა პილაიმ უპასუხა ვან კლეფენსს და მკაცრად დაჰგმო ჰოლანდიის აგრესია და უმწეო ინდონეზიელი ხალხის დაბომბვა, ამასთან ხაზგასმით აღნიშნა, რომ წესდება საბჭოს აძლევს რწმუნებას მოაგვაროს ასეთი დავა. პილაიმ საბჭოს მოუწოდა შექმნას კომისია გამოკვლევის ჩასატარებლად, აგრეთვე შუამავლობისა და არბიტრაჟის განსახორციელებლად.

პილაიმ გაფრთხილება გამოსთქვა საბჭოსათვის გვერდის ავლის ცდების წინააღმდეგ და განაცხადა, რომ ვისაც არ სურს სამართლიანად მოეპყროს ინდონეზიას, ის ყველაზე მეტად სცემს ლახვარს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიზნებს და ძირს უთხრის საყოველთაო მშვიდობიანობას.

ამ წინადადებას მხარი დაუჭირა კოლუმბიის დელეგატმა ლოპესმა. მეორე მხრივ, ავსტრალიის წარმომადგენელმა ჰოჯსონმა უარი განაცხადა თავის საკუთარ წინადადებაზე. ჰოჯსონმა უარი განაცხადა მხარი დაეჭიროს არა მარტო უშიშროების საბჭოს მიერ გამოკვლევის ჩატარებას, არამედ უშიშროების საბჭოს ხელმძღვანელობით არბიტრაჟისა და შუამავლობის ჩატარებასაც — როგორც ეს გათვალისწინებული იყო პოლონეთის შესწორებით, რომელსაც ჰოჯსონი წინათ დაეთანხმა. როგორც სჩანს, თავისი პოზიციის შეცვლის შესანიღბავად, ჰოჯსონმა წარადგინა სხვა რეზოლუცია სამი სახელმწიფოს შუამავლობისა და არბიტრაჟის შესახებ, ამასთან ორივე მეომარმა მხარემ უნდა აირჩიოს თითო სახელმწიფო, ხოლო უშიშროების საბჭომ—მესამე.

შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ ელ-ხურიმ გამოიტანა გადაწყვეტილება, რომ ავსტრალიის თავდაპირველი რეზოლუცია შეიცვალოს ახალი წინადადებებით.

ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელმა ჯონსონმა მხარი დაუჭირა ჩინეთ-ავსტრალიის რეზოლუციას იმის შესახებ, რომ გამოკვლევა ჩაატარონ ბატავიაში მყოფმა კონსულებმა. რაც შეეხება არბიტრაჟსა და შუამავლობას, ჯონსონმა წარადგინა ავსტრალიის ახალი წინადადების ოდნავ სახეშეცვლილი ვარიანტი. ამერიკის რეზოლუცია წინადადებას აძლევს, რომ საბჭომ შესთავაზოს თავისი „კეთილი სამსახური“ და თუ მეომარი მხარეები ამ სამსახურს არ მიიღებენ, საბჭომ უნდა მოაწყოს სამი სახელმწიფოს შუამავლობა და არბიტრაჟი ეგრეთ წოდებული „საბჭოს კომიტეტის“ დახმარებით, რომელიც საბჭოს სამი წევრისაგან შესდგება, ამასთან ორი წევრი უნდა აირჩიოს შესაბამისად დავის ორივე მონაწილემ, ხოლო მესამე — საამისოდ გამოყოფილმა წევრებმა. ამრიგად, საბჭოს ხმა არ ექნება ეგრეთ წოდებული „საბჭოს კომიტეტის“ არჩევისას. ჯონსონი ამტკიცებდა, რომ საბჭომ დავის მონაწილეებს „თავს არ უნდა მოახვიოს“ რაიმე განსაკუთრებული გადაწყვეტილება. მან წინადადება წამოაყენა იურისდიქციის საკითხის განხილვა გადაეცეს საერთაშორისო სასამართლოს.

ამის საწინააღმდეგოდ, საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის წარმომადგენლებმა გაილაშქრეს ახალ წინადადებათა წინააღმდეგ და მტკიცედ მოითხოვდნენ, რომ უშიშროების საბჭომ მოიწონოს ინდონეზიის მთავრობის მოთხოვნები.

საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა ა. ა. გრომიკომ განაცხადა, დღემდე ჩატარებულმა მსჯელობამ ცხადჰყო, რომ ზოგიერთი სახელმწიფოს წარმომადგენლებს მიდრეკილება აქვთ გაიზიარონ თვალსაზრისი ჰოლანდიის მთავრობისა, რომელმაც ომი გამოუცხადა ინდონეზიის რესპუბლიკას. გრომიკომ განაცხადა, რომ ჩინეთ-ავსტრალიისა და ამერიკის წინადადებანი მიუღებელია, ვინაიდან ამ წინადადებათა მიღება იმის მომასწავებელი იქნებოდა, რომ უშიშროების საბჭო ნებაყოფლობით იღებს ხელს ამ საკითხის გადაწყვეტაზე. გრომიკომ აგრეთვე განაცხადა, საბჭოთა დელეგაცია ვერ მოიწონებს იმისაკენ მიმართულ წინადადებებს, რომ გვერდი აუარონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციას და უშიშროების საბჭოს და ამ საკითხის გადაწყვეტა ორი-სამი სახელმწიფოს ხელში დასტოვონ.

22 აგვისტოს საღამოს საბჭომ დროებით გადასდო ინდონეზიის საკითხის განხილვა, რათა მოესმინა ეგვიპტის პრემიერ-მინისტრ ნოკრაშიფაშისა და ინგლისის წარმომადგენელ კადოგანის სიტყვები ინგლის-ეგვიპტის დავის შესახებ. ნოკრაშიმ განაცხადა, რომ უშიშროების საბჭო თავს აარიდებს თავის პირველხარისხოვან პასუხისმგებლობას მშვიდობის დაცვისათვის, თუ მოიწონა ბრაზილიის რეზოლუცია, რაც წარდგენილია 20 აგვისტოს და რეკომენდაციას იძლევა, რომ ეგვიპტემ და ინგლისმა პირდაპირი მოლაპარაკება განაახლონ. ნოკრაშიმ აგრეთვე განაცხადა, რომ ეს რეზოლუცია უშიშროების საბჭოს ართმევს დავის მოგვარების უფლებას, რომელიც საბჭოს მინიჭებული აქვს წესდების თანახმად. ნოკრაშიმ კვლავ განაცხადა, რომ ეგვიპტეში ინგლისის ჯარების ყოფნამ უკანასკნელი თვეების განმავლობაში სისხლის ღვრა გამოიწვია და გარდუვალად იწვევს ეგვიპტელი ხალხის აღშფოთებას.

შემდეგ მოკლე საპასუხო სიტყვა წარმოსთქვა კადოგანმა, რომელიც ამტკიცებდა, რომ ეგვიპტეში ინგლისის ჯარების ყოფნა არ წარმოადგენს საფრთხეს მშვიდობისათვის და სხვა.

სხდომის მსვლელობაში მცველებმა დარბაზიდან გაიყვანეს ეგვიპტის სოციალისტური გლეხური პარტიის თავმჯდომარე კოტბი და ეგვიპტის ნილოსის დაბლობის ეროვნული ფრონტის წარმომადგენელი მუსტაფა მომენი იმისათვის, რომ ისინი ანტიბრიტანულ ლოზუნგებს გაიძახოდნენ.

საბჭო ეგვიპტის სიტუაციის განხილვას განაახლებს 26 აგვისტოს.

უნგრეთის საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადება

ბუდაპეშტი, 23 აგვისტო. (საკდესი). ინფორმაციის მინისტრმა ერნე მიხაიფიმ, რომელიც საგარეო საქმეთა მინისტრის მოვალეობას ასრულებს, გუშინ მიიღო უცხოეთის პრესის წარმომადგენლები და გაუკეთა მათ განცხადება ამერიკის იმ ნოტასთან დაკავშირებით, რომელშიც ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა „სერიოზული შიში“ გამოსთქვა ახალი საარჩევნო კანონის შესაბამისად ვითომცდა დაშვებულ დიდ ბოროტმოქმედებათა გამო.

მიხაიფიმ აღნიშნა, რომ ამ ნოტის საფუძველი, როგორც სჩანს, გახდა „უნიადაგო და ცრუ ცნობები, აგრეთვე არაკეთილმოსურნე სტატიები და ცნობები უნგრეთის არჩევნების შესახებ“, რაც ამ უკანასკნელ დღეებში დაიბეჭდა უცხოეთის პრესაში. მიხაიფი თავის განცხადებაში უარჰყოფს ამერიკის ნოტის მტკიცებას, რისთვისაც იყენებს თავის განკარგულებაში არსებულ ცნობებს.

კერძოდ, მიხაიფი შეეხო სახელმწიფო დეპარტამენტის მტკიცებას იმის შესახებ, რომ ცალკეულ ოლქებში კომუნისტების ხელმძღვანელობით მყოფი საარჩევნო ორგანოების მიერ ამომრჩეველთა სიებიდან გარიცხულთა რიცხვმა თითქოს „70 პროცენტს მიაღწია“ და, რომ „გამოანგარიშების მიხედვით, უკვე ახლა საარჩევნო უფლება ჩამორთმეული აქვს ამომრჩეველთა 20 პროცენტს, ე. ი. დაახლოებით 1 მილიონ უნგრელ მოქალაქეს“. მიხაიფიმ თქვა:—გულწრფელად ვწუხვარ, რომ არა მარტო უნდა უარვყო, არამედ კიდევაც გავაპროტესტო ამ მტკიცების ყოველი სიტყვა. არავითარი საფუძველი არ არსებობს იმას განცხადებისათვის, რომ საარჩევნო ორგანოებს კომუნისტები ხელმძღვანელობენ. ამომრჩეველთა სიებს ადგენენ საარჩევნო კომისიები, რომლებშიც შედის წვრილ სოფლის მეურნეთა პარტიის, სოციალ-დემოკრატიული, კომუნისტური, ეროვნულ-გლეხური და სამოქალაქო-დემოკრატიული პარტიების თითო წარმომადგენელი. ამრიგად, საარჩევნო კომისიებში ადგილი უჭირავთ არა მარტო მთავრობის ოთხი პარტიის წარმომადგენლებს, არამედ ოპოზიციის ერთი პარტიის წარმომადგენლებსაც. არც შინაგან საქმეთა სამინისტროს, არც პოლიციის და არც რაიმე სახელმწიფო ორგანოს არავითარი გავლენა არ ჰქონიათ საარჩევნო სიების შედგენაზე და კონტროლი არ გაუწევიათ მათთვის. კიდევ უფრო ნაკლები საფუძველია იმის მტკიცებისათვის, თითქოს საარჩევნო კომისიებს კომუნისტები ხელმძღვანელობენ. ნოტის ამ მტკიცებასთან დაკავშირებით მე მომყავს ნაწყვეტი პრემიერ-მინისტრ ლაიოშ დინიეშის მიერ 17 აგვისტოს წარმოთქმული სიტყვიდან: „თუ ამომრჩეველთა სიების შედგენისას დაშვებული იყო შეცდომები და ცალკეული ბოროტმოქმედებანი, ჩვენ ამ შეცდომებსა და ბოროტმოქმედებას გამოვასწორებთ კანონის საფუძველზე“. ეს იმას ნიშნავს, რომ უნგრეთის მთავრობას სრულებითაც არ სურს უარჰყოს დაშვებული შეცდომები და ყველაფერს გააკეთებს ამ შეცდომების გამოსასწორებლად.

მტკიცება იმის შესახებ, რომ ცალკეულ ოლქებში სიებიდან გარიცხულთა რიცხვმა 70 პროცენტს მიაღწია, სერიოზული არ არის. ამერიკის განცხადების საწინააღმდეგოდ, პრემიერ-მინისტრმა ლაიოშ დინიეშმა ზემოაღნიშნულ სიტყვაში გააშუქა ნამდვილი მდგომარეობა. „უკანასკნელი ცნობებით, ამომრჩეველთა სიებში შეტანილია ხმის უფლების მქონე 5.293.987 კაცი. ამომრჩეველთა სიებში შეტანილი არ არის სულ 466.853 კაცი, ამასთან ამორიცხულთა შორის არის გასასახლებელი 170 ათასი შვაბი. ამრიგად, ამომრჩეველთა სიებში შეუტანელთა რიცხვი შეადგენს 300 ათას კაცს. საჩივრების დაკმაყოფილების შემდეგ ეს რიცხვიც მნიშვნელოვნად შემცირდება. 1945 წლის არჩევნების დროს ამომრჩეველთა სიებში 5.164.661 კაცი იყო. მაშასადამე, უკვე ახლა 129.326 ამომრჩეველით მეტია, ვიდრე 1945 წელს იყო“.

მიხაიფი შეეხო ამერიკის ნოტის სხვა მტკიცებებს და განაგრძო:

„მე მსურს აღვნიშნო ამერიკის განცხადების სავალალო არასიზუსტე, ვინაიდან საარჩევნო კანონის პარაგრაფებს შორის, განყოფილებაში საარჩევნო უფლების ჩამორთმევის საფუძვლების შესახებ, არ არის პარაგრაფი, რომ საარჩევნო უფლება ჩამოერთვას იმ პირებს, რომლებიც აზნაურები არიან.

აგრეთვე გაუგებარია ამერიკის ნოტის მტკიცება იმის შესახებ, რომ საარჩევნო უფლებაჩამორთმეულ მოქალაქეთა უდიდესი უმრავლესობა არაკომუნისტებია. რა გამოძიების საფუძველზე მოახერხეს ამის გამორკვევა ამერიკელმა ხელისუფლებმა ამომრჩეველთა სიების გამოქვეყნების უკვე მეხუთე დღეს? მე არ ვფიქრობ, რომ ეს ფიზიკურად შესაძლებელი იყოს და ამიტომ ეს მტკიცება უნდა მივიჩნიოთ უსაფუძვლო განზრახვად.

ამერიკის ნოტის მტკიცება იმის შესახებ, რომ აპელაციების შესატანად მიცემული ვადა მას მეტად მოკლედ მიაჩნია, თავისთავად გადაიჭრება, როცა გამოირკვევა, თუ ამ მოკლე ვადაში რამდენი აპელაცია შეიტანეს და რამდენმა მოქალაქემ კვლავ მიიღო საარჩევნო უფლება“.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნოს განცხადება

ნიუ-იორკი, 23 აგვისტო. (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნომ ცნობა გამოაქვეყნა, რომ ორგანიზაციის გენერალურ მდივანს ტრიუგვე ლის სამი ახალი პუნქტი წარუდგინეს გენერალური ასამბლეის დროებით დღის წესრიგში შესატანად. იუგოსლავიამ შემდეგი პუნქტი წარადგინა: „რეკომენდაციები, რომლებიც უნდა გაკეთდეს, რათა უზრუნველყოფილ იქნეს სამხედრო დამნაშავეთა, გამცემთა და კვისლინგელთა იმ სახელმწიფოებისათვის გადაცემა, სადაც დანაშაულობა ჩადენილ იქნა“. არგენტინამ წამოაყენა „იტალიასთან საზავო ხელშეკრულების გადასინჯვა“. დომინიკელთა რესპუბლიკამ წამოაყენა რეკომენდაციები იმის შესახებ, რომ დაინტერესებულმა სახელმწიფოებმა განიხილონ იტალიასთან საზავო ხელშეკრულების გადასინჯვის საკითხი.

ლენინის სახელობის ქუჩა პრაღაში

პრაღა, 23 აგვისტო. (საკდესი). თაბორის ქუჩას პრაღაში დაერქვა ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის ქუჩა. ამ შემთხვევის გამო შესდგა მასობრივი მიტინგი, რომელზეც სიტყვები წარმოსთქვეს სოციალური უზრუნველყოფის მინისტრმა ნეედლიმ, პრაღის პრიმატორმა ვაცეკმა, სსრ კავშირის საქმეთა რწმუნებულმა ჩეხოსლოვაკიაში ბოდროვმა და სხვებმა.

ამერიკელი მწერალი ქალი ა. სტრონგი ჩრდილოეთ კორეაში არსებული მდგომარეობის შესახებ

ფხენიანი, 23 აგვისტო. (საკდესი). ცნობილმა ამერიკელმა მწერალმა ანა ლუიზა სტრონგმა, რომელმაც ამას წინათ ჩრდილოეთი კორეა შემოიარა, ჩრდილოეთ კორეის სახალხო კომიტეტის თავმჯდომარეს კიმ ირ სენს გაუგზავნა წერილი, სადაც მადლობას უხდის გაწეული სტუმართმოყვარეობისათვის და სწერს:

„ორი კვირის განმავლობაში მე შევძელი შემომევლო თქვენი ქვეყანა სანაპიროდან სანაპირომდე. მანქანით დავიარე სოფლები, ვიყავი ბევრ ქარხანაში და თავისუფლად და ვრცლად ვესაუბრე გლეხებს, მუშებს, ინტელიგენტებსა და თანამდებობის პირებს.

მინდა მოგილოცოთ თქვენ და თქვენი საშუალებით ჩრდილოეთ კორეის ხალხს მნიშვნელოვანი წარმატებანი, რომლებსაც მან თქვენი ხელმძღვანელობით 2 წლის განმავლობაში მიაღწია.

ეს წარმატებებია: დემოკრატიის ქმედითი, მარტივი და მეტად მოქნილი ფორმის დამყარება, რაც წერა-კითხვის უცოდინარსაც კი შესაძლებლობას აძლევს გონივრულად და ფარულად გამოსთქვას თავისი ნება; მიწის რეფორმა, რომელიც ჩატარდა უპრეცედენტო სიმარტივით და ისე, რომ არეულობა არ მომხდარა, რის შედეგადაც ჩრდილოეთ კორეაში განაწილდა ნახევარზე მეტი მიწა, ხოლო სოფლის მთელმა მოსახლეობამ მიიღო ბაზა კეთილდღეობის სწრაფი ზრდისათვის; მრეწველობის აღდგენა, რასაც თან ახლდა შემოღება შრომის პროგრესული კანონმდებლობისა, რომელიც უზრუნველჰყოფს მთელი ხალხის მატერიალური დონის ამაღლებას; სკოლების და სკოლის გარეშე სწავლების ქსელის გაფართოება, რის მეოხებითაც სკოლებში და კურსებზე ამჟამად მესამედი მოსახლეობა სწავლობს.

ყველა ეს მიღწევა მარწმუნებს, რომ ჩრდილოეთი კორეა ჰქმნის დემოკრატიულ წყობას, რომელსაც სამხრეთშიც აჯობინებენ. ამიტომ თქვენ აქ მთელი მომავალი კორეის ისტორიას ჰქმნით...

იმედი მაქვს ოდესმე კვლავ გიხილოთ პირადად თქვენ სეულში, პრეზიდენტის რეზიდენციაში".

ეკონომიური კრიზისი ინგლისში

მორისონის გამოსვლა რადიოთი

ლონდონი, 24 აგვისტო. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, გუშინ რადიოთი სიტყვა წარმოსთქვა პრემიერ-მინისტრის მოვალეობის დროებითმა ამსრულებელმა ჰერბერტ მორისონმა, რომელმაც თავისი სიტყვის მეტი ნაწილი უძღვნა იმ საკითხის განხილვას, თუ რა უშუალო გავლენას მოახდენს კრიზისი ხალხის ცხოვრებაზე. მაშინ, როცა პარიზსა და ვაშინგტონში ინგლისი იბრძვის, რათა შეიქმნას „ჯანსაღი, მზარდი მსოფლიო ეკონომიკა", იგი აწყდება დოლარის, ქვანახშირის, მუშახელისა და სურსათის ნაკლებობაზე უფრო სერიოზულ ნაკლებობას, — ეს არის დროის ნაკლებობა. „დრო სწრაფად გარბის, უფრო სწრაფადაც კი, ვიდრე დოლარები ილევა".

შეეხო რა ამ კვირაში გამოცხადებულ სოფლის მეურნეობის განვითარების ახალ გეგმას, რომლის შესაბამისადაც სოფლის მეურნეობის პროდუქცია 100 მილიონი გირვანქა სტერლინგით უნდა გადიდდეს, და დაასურათა რა პერსპექტივები, რომლებიც ინგლისელ ხალხს მოელის, მორისონმა განაცხადა: „ცხოვრება ნაღვლიანი იქნება, მაგრამ იგი მაინც გაგრძელდება უფილმებოდ, უტოტალიზატორებოდაც და იმ შემთხვევაშიც კი, თუ მაღაზიებში ნაკლები „ხარახურა" იქნება.

მორისონმა მოუწოდა იმ ადამიანებს, რომლებიც ისეთს საქონელს აწარმოებენ და ჰყიდიან, ურომლისოდაც შეიძლება იოლად წასვლა, ნებაყოფლობით გადავიდნენ ისეთ სამუშაოზე, რომელიც უფრო საჭიროა საერთო ეროვნული კრიზისის პირობებში.

საბერძნეთის მთავრობა გადადგა

ლონდონი, 23 აგვისტო. (საკდესი). რეიტერის სააგენტო შემდეგ ცნობას გადმოგვცემს ათენიდან:

მას შემდეგ, რაც ცენტრის პარტიების სამი ლიდერი (ვენიზელოსი, პაპანდრეუ და კანელოპულოსი—რედ.) გადადგა და კაბინეტიდან გამოვიდა, საბერძნეთის პრემიერ-მინისტრმა მაქსიმოსმა გადასწყვიტა გადადგეს.

დღეს მაქსიმოსმა დასტოვა კაბინეტის სხდომა და წავიდა მეფის სასახლეში, რათა მეფე პავლეს გადასცეს განცხადება კაბინეტის გადადგომის შესახებ.

ცალდარისის განცხადება

ნიუ-იორკი, 24 აგვისტო. (საკდესი). როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტოს ათენელი კორესპონდენტი იუწყება, კაბინეტის გადადგომის შემდეგ საგარეო საქმეთა მინისტრმა ცალდარისმა ინტერვიუში განაცხადა, რომ ახლოვდება მძიმე კრიზისი. მან „კრიზისული" უწოდა მდგომარეობას საბერძნეთის დემოკრატიული არმიის მოქმედების გაძლიერების გამო.

ცალდარისმა განაცხადა, რომ „ამერიკელთა მიწოდებანი ამჟამად საბერძნეთში საკმაოდ სწრაფად მოდის, მაგრამ რუსეთის ვეტომ უფრო სერიოზული მდგომარეობა შეჰქმნა, ვიდრე არსებობდა დახმარების პირვანდელი პროგრამის მიღების მომენტში". მან აღნიშნა: არ ვფიქრობ, რომ საბერძნეთს „ამ მომენტში" ამერიკული საქონელი ესაჭიროებაო", მაგრამ საბერძნეთის არმიას ესაჭიროება ცვლა, რადგან ჯარების მეტი წილი დიდი ხანია მსახურებსო. შემდეგ მან სთქვა, ახალგაწვეულთა მოსამზადებლად საჭირო იქნება სამ-ოთხი თვეო.

ცალდარისმა აღიარა, რომ არ არის იმის დამამტკიცებელი რაიმე საბუთი, რომ არსებობდეს „ინტერნაციონალური ბრიგადა".

იუნაიტედ პრესის სააგენტოს ვაშინგტონელი კორესპონდენტი იუწყება, რომ კორესპონდენტების თხოვნაზე — კომენტარი გაეკეთებინათ საბერძნეთის კაბინეტის კრიზისისათვის—სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენლებმა ორჭოფული პოზიცია დაიკავეს, მაგრამ არაოფიციალურად აღნიშნეს, რომ შეერთებული შტატები მიესალმებიან საბერძნეთის კაბინეტის „გაფართოებას".

მთავრობის კრიზისი საბერძნეთში

ლონდონი, 24 აგვისტო. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, საბერძნეთის ახალი კაბინეტის შედგენა მიენდო ცალდარისს.

ათენი, 24 აგვისტო. (საკდესი). პრესა იუწყება, რომ გუშინ კაბინეტის გადადგომამდე შესდგა იმ 7 პარტიის ლიდერთა თათბირი, რომლებიც მთავრობის კოალიციას შეადგენდნენ. თათბირზე ვენიზელოსმა, პაპანდრეუმ და კანელოპულოსმა მოითხოვეს, რომ საზოგადოებრივი წესრიგის მინისტრის პორტფელი მიეცეს კანელოპულოსს, ხოლო სამხედრო მინისტრის პორტფელი — პაპანდრეუს. მათ აგრეთვე აგრძნობინეს თათბირს, რომ ამერიკელებს აღარ სურთ დაინახონ მთავრობაში ზერვასი, რადგან მისი ღონისძიებანი არ მოსწონთ ამერიკის შეერთებულ შტატებში.

ზერვასმა განაცხადა, რომ პაპანდრეუმ და სხვებმა არა მარტო მოიწონეს მისი ღონისძიებანი, არამედ მათი მკაცრად გატარებაც კი მოითხოვეს.

გონატასმა განაცხადა, რომ იგი არ იცნობს „უცხოეთის ფაქტორების" აზრს, მაგრამ ფიქრობს, რომ ყოველი დაბრკოლება, რომელიც აძნელებს ურთიერთობას „დიდ მოკავშირე სახელმწიფოსთან", აღმოფხვრილ უნდა იქნას. ცალდარისმა კი ხაზგასმით აღნიშნა, რომ იგი კატეგორიულად ილაშქრებს პორტფელების ხელახალი განაწილების წინააღმდეგ, რის შემდეგაც სამი მინისტრი გადადგა.

მთელი კაბინეტის გადადგომის შემდეგ მეფემ რიგრიგობით მიიღო პარლამენტის თავმჯდომარე და პარლამენტის პარტიების ყველა ლიდერი და მოისმინა მათი აზრი კრიზისის მოგვარების შესახებ. პარლამენტის თავმჯდომარემ ურჩია ახალი კაბინეტის შედგენა მიანდოს ცალდარისს. სოფულისი, პირიქით, ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ რამდენადაც წინანდელი მთავრობა გაკოტრდა საგარეო და საშინაო პოლიტიკაში, შეცდომა იქნება ახალი მთავრობის შედგენა მიენდოს ამ გაკოტრების მთავარ მიზეზს — ცალდარისს. მიუხედავად ამისა, მეფემ ახალი კაბინეტის შედგენა მიანდო ცალდარისს, რომელმაც მაშინვე დაიწყო მოლაპარაკება სხვადასხვა პარტიის წარმომადგენლებთან.

იუწყებიან, რომ გონატასმა უარი სთქვა შევიდეს ვიწრო კაბინეტში „პოპულისტებთან" ერთად.

პოლიტიკურ წრეებში აღნიშნავენ, რომ ცალდარისმა უნდა გადალახოს დიდი სიძნელეები, რადგან მის პარტიას მარკოზენისის ჩამოშორების შემდეგ უმრავლესობა აღარ ჰყავს პარლამენტში, ხოლო პარტიები, რომელთა მოწვევასაც იგი აპირებს კათანამშრომლოდ, სერიოზულ მოთხოვნებს წამოაყენებენ.

საბერძნეთის დემოკრატიული არმიის რადიოსადგურის ცნობა

ბელგრადი, 23 აგვისტო. (საკდესი). საბერძნეთის დემოკრატიული არმიის რადიოსადგურმა გადასცა, რომ ათენში შესდგა მინისტრთა საბჭოს რიგგარეშე სხდომა, რომელზეც, თანახმად მიღებული ცნობებისა, კვლავ განხილულ იქნა საკითხი კომპარტიისა და ემის კანონგარეშე გამოცხადების შესახებ.

დემონსტრაცია ეგვიპტეში ბრაზილიის მიერ უშიშროების საბჭოში შეტანილი წინადადების წინააღმდეგ

კაირო, 23 აგვისტო. (საკდესი). კაიროში, ალექსანდრიასა და ეგვიპტის სხვა ქალაქებში შესდგა დემონსტრაცია. იგი მიმართული იყო ბრაზილიის მიერ უშიშროების საბჭოში შეტანილი რეზოლუციისა და იმ ქვეყნების წინააღმდეგ, რომლებმაც ამ რეზოლუციას მხარი დაუჭირეს. კაიროში დემონსტრანტები აპირებდნენ დიდი მიტინგის გამართვას. პოლიციამ სცადა გაეფანტა ისინი. ამას მოჰყვა შეტაკება, რომლის დროსაც პოლიციამ სროლა ასტეხა. როგორც გაზეთები იუწყებიან, ბევრია დაჭრილი, მათ შორის 25 პოლიციელი. სამი მძიმედ დაჭრილი დემონსტრანტი საავადმყოფოში გარდაიცვალა. შეტაკების დროს დაიჭრა ორგანიზაცია „მუსლიმანთა ძმობის" ლიდერი ჰასან-ელ ბკინი.

ალექსანდრიაში პოლიციელებთან დემონსტრანტების შეტაკების შედეგად აგრეთვე არიან დაჭრილნი. 12 კაცი დაპატიმრებულია.

აახენში შეიქმნა „მსოფლიო სახელმწიფოს ლიგის" ბიურო

ბერლინი, 20 აგვისტო. (საკდესი). როგორც ლპდ-ის სააგენტო აახენიდან გადმოგვცემს, იქ შეიქმნა „მსოფლიო სახელმწიფოს ლიგის" ბიურო.

„მსოფლიო სახელმწიფოს ლიგა" არის „მსოფლიო ფედერალური მთავრობის შექმნისათვის საერთაშორისო მოძრაობის" გერმანული ფილიალი და მიზნად ისახავს გააერთიანოს „მსოფლიო სახელმწიფოს შექმნის ყველა მომხრე".

ქალაქ დიუსელდორფში, ჰამბურგში, ჰანოვერში, კელნსა და დორტმუნდში შექმნილია ანალოგიური ბიუროების მომწყობი მოსამზადებელი კომიტეტები. მათ ინგლისის სამხედრო ადმინისტრაციის მიმართეს ლიცენზიისათვის.

ინგლისელი მაღაროელების გადასვლა ექვსდღიან სამუშაო კვირაზე

ლონდონი, 24 აგვისტო. (საკდესი). რეიტერის სააგენტოს ცნობით, მაღაროელთა ნაციონალური კავშირის გენერალურმა მდივანმა არტურ ჰორნერმა განაცხადა, რომ ინგლისელი მაღაროელები ექვსდღიან სამუშაო კვირის დაუბრუნდებიან.

ხუთდღიან სამუშაო კვირაზე ხელის აღებით, სთქვა ჰორნერმა, მაღაროელები ხელს იღებენ რეფორმაზე, რომლისთვისაც ისინი 40 წლის განმავლობაში იბრძოდნენ.

დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციის საბჭოს სესია

პრაღა, 22 აგვისტო. (საკდესი). 21 აგვისტოს პრაღაში გაიხსნა დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციის საბჭოს სესია. ფედერაციის აღმასრულებელი კომიტეტის მუშაობისა და დემოკრატიული ახალგაზრდობის ამოცანათა შესახებ საანგარიშო მოხსენება გააკეთა საბჭოს თავმჯდომარემ გი დე ბუასონმა. თანამოხსენება გააკეთეს: ამერიკის შეერთებული შტატების დემოკრატიული ახალგაზრდობის დელეგაციისაგან დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციის საბჭოს წევრმა ვივერმა, დიდი ბრიტანეთის დელეგაციისაგან ფედერაციის ვიცე-თავმჯდომარემ ჯონსმა, ჩინეთის დემოკრატიული ახალგაზრდობის დელეგაციისაგან ფედერაციის აღმასრულებელი კომიტეტის წევრმა ჩენმა, საბჭოთა დელეგაციისაგან მისმა ხელმძღვანელმა, დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციის ვიცე-თავმჯდომარემ ივანოვმა.

ამ უკანასკნელ წელს, — სთქვა ბუასონმა,— ჩვენი ფედერაციის როლი და მნიშვნელობა დიდად გაიზარდა. ფაშიზმი საბოლოოდ მოსპობილი არ არის და მან ახლა სხვადასხვა ქვეყნის იმპერიალისტურ ჯგუფებთან ერთად კვლავ წამოჰყო თავი. ამიტომ ახალგაზრდობა მოვალედ რაცხს თავს დაიცვას მშვიდობის საქმე და თავისი უფლებანი.

ამ უკანასკნელ წელს ჩვენს ფედერაციაში 5 მილიონი ახალი წევრი შემოვიდა, ამასთან განსაკუთრებით გაძლიერდა კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების ახალგაზრდობის შემოსვლა მას შემდეგ რაც ისინი დარწმუნდნენ, რომ ჩვენი ფედერაცია აქტიურად ეხმარება ყველა ხალხს თავისუფლებისათვის, დამოუკიდებლობისა და დემოკრატიისათვის ბრძოლაში. ახალგაზრდობის პრაღის საერთაშორისო ფესტივალთან დაკავშირებით ჩვენს ფედერაციაში შემოვიდა მრავალი ახალი ახალგაზრდული ორგანიზაცია, რომლებიც დღემდე განზე იდგნენ.

დასასრულ ბუასონმა აღნიშნა, რომ საჭიროა განმტკიცდეს ფესტივალის წარმატებანი, გაძლიერდეს კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების ახალგაზრდობისადმი დახმარება, გაძლიერდეს ბრძოლა ახალგაზრდობის უფლებათა დასაცავად, განმტკიცდეს დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციის კავშირი პროფკავშირების მსოფლიო ფედერაციასთან, გაუმჯობესდეს საპროპაგანდო და ორგანიზაციული მუშაობა, იმ ვარაუდით, რომ მიღწეულ იქნას საუკეთესო შედეგები მშვიდობისათვის, დემოკრატიული ახალგაზრდობის ერთიანობისათვის ბრძოლაში და ერთობლივი ღონისძიებებით დაცულ იქნას ახალგაზრდობა დევნისა და შევიწროებისაგან, რასაც იგი დღემდე განიცდის საბერძნეთში, ფრანკისტულ ესპანეთში, ეგვიპტეში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, კანადასა და სხვა ქვეყნებში.

ახალგაზრდობის საერთაშორისო ფესტივალზე, — სთქვა თავის სიტყვაში ვივერმა, — ამერიკის დელეგაცია დარწმუნდა, რომ საჭიროა ყველა ქვეყნის ახალგაზრდობის ერთიანობა და თვითეულ ქვეყანაში ახალგაზრდული მოძრაობის ერთიანობა. სამწუხაროდ, ჩვენ ამერიკაში დღემდე ვერ მივაღწიეთ ერთიანობას მუშათა მოძრაობასა და ახალგაზრდობაში. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ უახლოეს ხანში მხოლოდ სტუდენტობაში შევქმნით ერთიან ორგანიზაციას. სექტემბერში ამერიკაში შესდგება სტუდენტთა ეროვნული კონფერენცია, რომელიც განამტკიცებს და ორგანიზებულად ჩამოაყალიბებს სტუდენტთა ერთიან კავშირს.

ახალგაზრდობის ერთიანობისათვის ბრძოლას უმთავრესად ცალკეული ქალაქებისა და რაიონების მასშტაბით ვეწევით. ნიუ-იორკში, ჩიკაგოსა და სხვა ქალაქებში უკვე შეიქმნა და მუშაობენ ახალგაზრდობის ერთიანი საბჭოები.

საგარეო პოლიტიკაში, რუზველტის სიკვდილის შემდეგ, — განაცხადა ვივერმა, — ამერიკის შეერთებული შტატების ხელმძღვანელმა წრეებმა გადაჭრით შეაქციეს ზურგი თავიანთ ძველ სამხედრო მოკავშირეებთან ერთიანობის პოლიტიკას და დაადგნენ სხვა ხალხთა საქმეში ჩარევის გზას. ამას ადასტურებენ შემდეგი ფაქტები: იაპონიაში ჩვენ ვემყარებით იმ პირთა ჯგუფს, რომლებიც ომის გამჩაღებელნი იყვნენ. ჩვენი საოკუპაციო ხელისუფლების პოლიტიკა გერმანიაში წარმოადგენს დენაციფიკაციის სასაცილოდ აგდებას და არსებითად ხელს უწყობს გერმანიაში ახალი მილიტარიზმის ზრდას. ჩვენ განვაგრძობთ თანამშრომლობას ფაშისტ დიქტატორ ფრანკოსთან, ვეწევით რეაქციული რეჟიმის მხარდამჭერის პოლიტიკას საბერძნეთში, თურქეთში და სხვა ქვეყნებში.

შემდეგ ვივერმა აღნიშნა, რომ ამერიკელი ქალიშვილები და ჭაბუკები იზრდებიან რასისტული თეორიის სულისკვეთებით, რომელიც ამბობს, „მსოფლიოს უმაღლესი ერი ამერიკელები არიან" და „ყველა დანარჩენი ხალხი ამერიკას უნდა ემორჩილებოდესო". ასეთ ვითარებაში, სთქვა ვივერმა, გასაკვირი არ არის, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა უარყოფითი აზრი გამოსთქვა პრაღის ფესტივალში ამერიკელი ახალგაზრდობის მონაწილეობის საკითხზე. ფესტივალზე რომ ჩამოვედით, ჩვენს შესახებ „ნიუ-იორკ ტაიმსი" და სხვა გაზეთები სწერენ, თითქოს ჩვენ პრაღაში ახალ კომუნისტურ ინტერნაციონალს ვქმნიდეთ.

პირობას ვაძლევთ საბჭოს, სთქვა დასასრულ ვივერმა, რომ სამშობლოში რომ დავბრუნდებით, ყველაფერს გავაკეთებთ, რაც ჩვენზეა დამოკიდებული, რათა ჩვენს ხალხსა და ახალგაზრდობას სიმართლე ვუამბოთ ფესტივალზე, ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციაზე, მშვიდობისა და ერთიანობისადმი ახალგაზრდობის მისწრაფებაზე.

„მსოფლიო ფედერალური მთავრობის შექმნისათვის საერთაშორისო მოძრაობის" კონგრესი

პარიზი, 22 აგვისტო. (საკდესი). მონტრეში (შვეიცარია) 17 აგვისტოს გაიხსნა ეგრეთ წოდებული „მსოფლიო ფედერალური მთავრობის შექმნისათვის საერთაშორისო მოძრაობის" კონგრესი. ამ კონგრესზე წარმოდგენილია 20 ქვეყნის 40 ორგანიზაცია. კონგრესის მუშაობაში მონაწილეობას იღებენ ამ „მოძრაობის" ორგანიზაციების ან მათი მონათესავე ორგანიზაციების წარმომადგენელნი სამხრეთ ამერიკის ქვეყნებიდან, გერმანიიდან, ავსტრიიდან, ბელგიიდან, კანადიდან, შეერთებული შტატებიდან (წარმოდგენილია 9 ორგანიზაცია), დანიიდან, საფრანგეთიდან (წარმოდგენილია 10 ორგანიზაცია), დიდი ბრიტანეთიდან, იტალიიდან, ნორვეგიიდან, ახალი ზელანდიიდან, ჰოლანდიიდან (წარმოდგენილია 4 ორგანიზაცია), შვეიცარიიდან და შვეციიდან; საბერძნეთიდან, უნგრეთიდან, ლუქსემბურგიდან, პოლონეთიდან და ჩეხოსლოვაკიიდან გამოგზავნილი არიან მეთვალყურენი. „მსოფლიო ფედერალური მთავრობის შექმნისათვის საერთაშორისო მოძრაობის" ადმინისტრაციული საბჭოს თავმჯდომარე დოქტორი მაქს ჰაბიხტი (ჟენევა) მიესალმა შეკრებილთ. მათ შორის იტალიის დამფუძნებელი კრების დეპუტატ უგო დომიანის და ბრიტანეთის პარლამენტის წევრს ჰენრი ასბორნს.

„მსოფლიო ფედერალური მთავრობის შექმნისათვის საერთაშორისო მოძრაობის" გენერალური მდივანი გრისენერი ამავე დროს არის „ამერიკის შეერთებული შტატების მსოფლიო ფედერალისტების" ორგანიზაციის ბიუროს წევრი.

დიდ ბრიტანეთში არსებობს „ბრიტანეთის ფედერალური კავშირი", რომელიც „ფედერალისტების" ერთ-ერთი ყველაზე დიდი ორგანიზაციაა. ამ კავშირის ოფიციალურ საბოლოო მიზნად ცხადდება მსოფლიო ფედერაციის შექმნა, ხოლო უახლოეს მიზნად — „შექმნა ევროპის დემოკრატიული ფედერაციისა, რომელიც ომისშემდგომი საერთაშორისო ორგანიზაციის ნაწილს წარმოადგენს".

პრაქტიკულად „მსოფლიო ფედერალური მთავრობის შექმნისათვის საერთაშორისო მოძრაობა" (მისი ინიციატორების როლში გამოვიდნენ ინგლისისა და ბელგიის პარლამენტარები) ეწევა პროპაგანდას ხალხების ეროვნულ სუვერენიტეტზე უარის თქმის სასარგებლოდ. კერძოდ, როგორც გადმოგვცემს შვეიცარული გაზეთი „ჟურნალ დე ჟენევ", ჰენრი ასბორნმა განაცხადა, რომ მშვიდობა შეიძლება მხოლოდ იმ პირობით, თუ ერები უარს იტყვიან სუვერენიტეტზე, იმისათვის, რომ შეადგინონ ერთი დიდი მთელი".

ჰოლანდია ჯოკიაკარტაზე შეტევას ამზადებს

ლონდონი, 23 აგვისტო. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი გაზეთ „დაგბლადის" დამოწმებით ჰააგიდან გადმოგვცემს, ჰოლანდიის პრემიერ-მინისტრ ბეელის წინადადებამ, რომ ბრძანება მისცენ ჰოლანდიის ჯარებს „გასწმინდონ" ინდონეზიის რესპუბლიკური მთავრობის მთავარი სადგომი— ჯოკიაკარტა, ჰოლანდიის მინისტრთა კაბინეტში სერიოზული კრიზისის საფრთხე გამოიწვია, რის შედეგადაც პრემიერ-მინისტრს საიდუმლო თათბირი ჰქონდა მემარჯვენე ოპოზიციის ლიდერებთან.

„შრომის პარტიის" მინისტრები კოალიციურ კაბინეტში იმუქრებოდნენ, რომ დაუყოვნებლივ გადადგებიან, თუ პრემიერ-მინისტრმა შეასრულა გეგმა, რომელიც მან კაბინეტს აცნობა, სახელდობრ თუ ინსტრუქცია მისცა ვან მოოკს დაიწყოს შეტევა ჯოკიაკარტაზე. კაბინეტში, რომელიც 13 მინისტრისაგან შესდგება, ოთხი მინისტრი „შრომის პარტიის" წევრია, მაგრამ ერთ-ერთი მათგანის — ფინანსთა მინისტრ ლიფტინკის პოზიცია, გაზეთის აზრით, ჯერ კიდევ საკმაოდ არ არის გამორკვეული.


ეროვნული ბიბლიოთეკა

24 აგვისტოს თბილისის ლ. პ. ბერიას სახელობის „დინამოს" სტადიონზე. თბილ „დინამოსა" და მოსკოვის „სპარტაკის" მორიგი მატჩი სსრ კავშირის 1947 წლის პირ ლობაზე. სურათზე: „სპარტაკის" კართან.

ფოტო ვლ. გინზბურ

ფ ე ხ ბ უ რ თ ი

„დინამო" თბილისი—„სპარტაკი" მოსკოვი

24 აგვისტოს ლ. პ. ბერიას სახელობის „დინამოს" სტადიონზე ერთმანეთს შეხვდნენ ჩვენი ქვეყნის უძლიერესი გუნდები — მოსკოვის „სპარტაკი" და თბილისის „დინამო".

პირველი წრის შეხვედრა აღნიშნულ გუნდებს შორის დამთავრდა „სპარტაკის" გამარჯვებით, ანგარიშით 1:0. საინტერესო იყო, შესძლებდნენ თუ არა თბილისელები რევანშის აღებას?

მატჩის დასაწყისი აღინიშნა ერთგვარი მოულოდნელობით. თამაშის პირველსავე წამებში თბილისელებმა მარჯვენა ფრთაზე გაიტაცეს ბურთი. გ. ჯეჯელავამ იგი მოხერხებულად ჩააწოდა „სპარტაკის" საჯარიმო მოედნის ცენტრში, რაც კარგად გამოიყენა ვ. ბერეჟნოიმ და კუთხური დარტყმით გახსნა ანგარიში. თბილისელთა ასეთმა სწრაფმა წარმატებამ როდი დააბნია მოსკოველები. ისინი მედგრად ეკვეთნენ დინამოელთა კარს. მთელი პირველი ტაიმის განმავლობაში ინიციატივა მოსკოველთა ხელში იყო. დინამოელები სუსტად, უსისტემოდ, შეუთანხმებლად თამაშობდნენ და ბურთი უმთავრესად მათ კარებთან ტრიალებდა. მე-10 წუთზე „დინამოს" საჯარიმო მოედანზე შეიქმნა არეულობა. სპარტაკელმა კონოვმა ძლიერად დაარტყა კარის მარცხენა კუთხისაკენ. ბურთი მოხვდა ძელს, უკან დაბრუნდა, მიუსწრო ა. სოკოლოვმა და შეაგორა მოს" კარში. მოსკოველებს შემდეგაც ჰქ ბურთის გატანის რამდენიმე შესაძლებ მაგრამ ვერ გამოიყენეს. თამაშის პირვე ხევარი დამთავრდა ფრედ 1:1.

მეორე ტაიმში თბილისელები შედა უკეთესად თამაშობდნენ. თამაშის სწრაფ სტუმრებმა დიდხანს ვერ გაუძლეს, მოიქ და „დინამოელთა" უპირატესობა აშკარა იცის შემდეგაც კი, როცა თბილისელებმა ტაკის" კარში მეორე ბურთი გა (გ. ჯეჯელავა), სტუმრები არც კი ც კონტრიერიშზე გადასვლას. დაუღალავად შაობდა" მხოლოდ მეკარე ლეონტიევი, მაც სხარტი და გაბედული ნახტომებით თავისი კარი რამდენიმე ბურთისაგან.

მატჩი დამთავრდა თბილისის „დინამოს" მარჯვებით ანგარიშით 2:1.

* * *

ამავე დღეს კუიბიშევში ერთმანეთს შე კუიბიშევისა და მოსკოვის „კრილია სო ვის" გუნდები. მატჩი დამთავრდა კუიბიშ თა გამარჯვებით — ანგარიშით 4:1.

ა. გოგოლაშვი

ს ა ს ა მ ა რ თ ლ ო

პურის დამტაცებელთა დასჯა

ჯერ კიდევ გასული წლის ნოემბერში საქართველოს სს რესპუბლიკის პროკურატურაში შემოსული მასალებით ცნობილი გახდა, რომ „ზაგოტზერნოს" ქუთაისის ბაზაში ადგილი ჰქონდა სახელმწიფო პურის დიდი რაოდენობით დატაცება-განიავებას. რესპუბლიკის პროკურატურამ ადგილზე მიავლინა უდიდეს საქმეთა გამომძიებელი, იუსტიციის მრჩეველი ამხ. ა. დოლიძე, რომელიც პროკურატურის სხვა მუშაკებთან ერთად თვეობით არკვევდა აღნიშნული ფაქტების სინამდვილეს. გამოძიების პროცესში ფაქტი ფაქტზე დასტურდებოდა. საბოლოოდ გამოირკვა, რომ აღნიშნული ბაზის თანამშრომელთა მიერ მითვისებული, დატაცებული და განიავებული არის სახელმწიფოს კუთვნილი 464.630 კილოგრამი მარცვლეული (პური, სიმინდი, ქერი, [illegible] და სხვ.).

ამ საქმის გამო პასუხისგებაში მიცემულ იქნა 23 კაცი. სახელმწიფო პურის დატაცება-განიავების ორგანიზატორები იყვნენ ბაზის სხვადასხვა საწყობის გამგეები: აპოლონ ტარასის-ძე ვერსალაძე, პიმენ ივანეს-ძე კორგიძე, ვახტანგ იაკობის-ძე შხვაცაბია და ვახტანგ ბაგრატის-ძე იმედაძე. ამ გაიძვერებთან დაკავშირებული იყვნენ სხვადასხვა ორგანიზაციების ექსპედიტორები, გაურკვეველი პროფესიის პირები და ნაძირალები, რომლებიც ყალბი დოკუმენტებით აღნიშნული ოთხეულიდან მიღებული ვლეულის რეალიზაციას ახდენდნენ ქუთ წყალტუბოს და მაიაკოვსკის რაიონებში.

გამოძიების პროცესში ბოროტმოქ ცდილობდნენ ბრალდებისაგან თავი დ თ, მაგრამ უტყუარი ფაქტებისა და დო ტების წარდგენის ყოველ შემთხვევაში რების „სისუსტეს" უჩიოდნენ და დანაშ ტყდებოდნენ.

ეს საქმე ამ დღეებში ადგილზე გაარჩია საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი მართლოს სისხლის სამართლის საქმეთა მართლო კოლეგიის გამსვლელმა სესიამ ლესი სასამართლოს წევრის ნ. შენგ თავმჯდომარეობით.

სახელმწიფო ბრალდებას მხარს უჭერდა ქუთაისის ქალაქის პროკურორი, იუსტიციის ცროსი მრჩეველი მ. ცქიფურიშვილი.

სასამართლომ სახელმწიფო პურის და პელთათვის წაყენებული ბრალდება დად რებულად სცნო და მიუსაჯა: ა. ტ. ვ ძეს, პ. ი. გორგიძეს, ვ. ი. შხვაცაბიას, იმედაძეს—25 წლიწადი თვითეულს შრ ბანაკში გადასახლებით და მთელი პირა ნების კონფისკაციით. დანარჩენებს—სი სამართლის კოდექსის სათანადო მუხ შეფარდებით სხვადასხვა ვადით პატიმრ

ა. სპეროზაშვი

კეცხოველის სახელობის საქალაქო პარტკაბინეტში

26 აგვისტოს, საღამოს 9 საათზე, საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის წრეების პროპაგანდისტებისათვის შესდგება სემინარი თემაზე: **„ი. ბ. სტალინის ნაშრომი „ოქტომბრის რევოლუცია და რუსი კომუნისტების ტაქტიკა".**

სემინარს უხელმძღვანელებენ ამხ. შ. ბიწაძე (ქართულ ენაზე), პროფესორი აზატიანი (რუსულ ენაზე).

ს ე მ ი ნ ა რ ი

26 აგვისტოს, საღამოს 5 ს. 30 წ. საქ ლოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზ ლენინის რაიკომის პარტკაბინეტში, შე პარტიულ-სამეურნეო აქტივის სემინარი ზე: **„ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის რება და მოღვაწეობა"** (1912-1917 წ. წ.). სემინარს ჩაატარებს ამხ. ვ. კალაძე.

პასუხისმგებელი რედაქტო
ბ. ნანიტაშვი

კ ი ნ ო ე ბ შ ი

26 აგვისტოს: რუსთაველის სახელობის — „კატორღიდან გაქცევა"; ოქტომბერი — „დიადი განთიადი"; ამირანი (საზაფხულო) — „ფრონტელი მეგობარი ქალები", (ზამთრის) — „შენა ხარ ჩემი ბედნიერება"; კომკავშირელი (საზაფხულო) — „არსენა"; (ზამთრის) — „მზიური ველის სერენადა"; სპარტაკი — „ისინი ვერ დაიმალებიან"; 26 კომისრის სახელობის (საზაფხულო და ზამთრის) — „ზანგეზური"; კოლმეურნე —„ძველებური ვოდევილი".

საქართველოს რადიოკომიტეტის გადაცემათა პროგრამა

26 აგვისტოს

რადიოსადგურებით 1154 და 49,59 მეტრ ტალღაზე და ქალაქის სატრანსლაციო ქსელით:

17.20 — საბჭოთა კომპოზიტორების ნაწარმოებები. 17.40 — გადაცემა მოსწავლეთათვის. იურიევის ნარკვევი „მწვანე ფოთოლი". 18.20 — კონცერტი რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის ლადო გერმესაშვილის შესრულებით. 19.15 — რადიოკომიტეტის სიმფონიური ორკესტრის კონცერტი. დირიჟორი ა. ნასიძე. 20.15 — კომპოზიტორ ს. ცინცაძის სავიოლინო კონცერტი. 20.45 — საუბარი თემაზე: „მუხური". 21.05 — ქართული ხალხური ცეკვები. 21.20 — ივანე ფრანკოს მოთხრობა „ერთი კონფისკაციის ისტორია". 23.00 — სტალინური პრემიის ლაურეატის კომპოზიტორ ხაჩატურიანის მეორე სიმფონია.

ს. მ. კიროვის სახელობის საქართველოს შრომის წითელი დროშის ორდენოსანი პოლიტექნიკური ინსტიტუტი აცხადებს, რომ ყველა ფაკულტეტისა და სპეციალობის ჯგუფებში მეცადინეობა იწყება 1 სექტემბერს, გარდა ეფროსი კურსების ქვემოთ აღნიშნული ჯგუფებისა, რომელთაც მეცადინეობა დაიწყებათ შემდეგ ვადებში: ა. წ. 8 სექტემბერს — სამშენებლო ფაკულტეტის მე-4 კურსს და სამთო ფაკულტეტის მე-4 კურსის 359, 360 და 361 ჯგუფებს, ა. წ. 15 სექტემბერს — ქიმიურ-ტექნოლოგიური ფაკულტეტის მე-5 კურსს, ა. წ. 1 ოქტომბერს — სამშენებლო ფაკულტეტის მე-5 კურსს და სამთო ფაკულტეტის მე-5 კურსის 352, 353 და 354 ჯგუფებს.

ყველა სტუდენტი ვალდებულია გამოცხადდეს ინსტიტუტში სწავლის დაწყებამდე 2-3 დღით ადრე, გატარდეს რეგისტრაციაში, მიიღოს სტუდენტის ბილეთი, გაეცნოს სასწავლო ცხრილს.

სტუდენტი, რომელიც დროულად არ გატარდება რეგისტრაციაში, გაირიცხება ინსტიტუტიდან.

ინსტიტუტის დირექტორი დოცენტი ბოჯგუა

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო სტიტუტი აცხადებს: მეცადინეობა კურსზე იწყება 1 სექტემბერს; 5 სექ ბრამდე შესაფერ კათედრებზე იწარმ იმ სტუდენტთა გამოცდები, რომლებსაც მოცდაზე გასვლის უფლება აქვთ.

შაბათს, 30 აგვისტოს, დღის 12 საა შესდგება ინსტიტუტის საბჭოს სხდომა, მელზეც მოსმენილ იქნება კათედრათა გეების ინფორმაცია სწავლის დაწყებ ვის მზადყოფნის შესახებ.

დირექცია

მოქალაქე **ივანე ირაკლის-ძე ჩხიკვაძემ**, მცხოვრებმა ფალიაშვილის ქ. № 32-ა, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ **ეკატერინე იოსების ასულ მეგრელიშვილ-ჩხიკვაძესთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს ორჯონიკიძის რაიონის მეორე უბნის სახალხო სასამართლო.

მოქალაქე **ლუბა არაბეგეწიკის ასულმა რაფაელოვამ**, მცხოვრები ორჯონიკიძის ქ. 58, აღძრა საქმე აზარის I ჩიხში № 6 მცხოვრებ **გაბრიელ ფილხაზის-ძე პალავაშვილთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლო.

მშობლები იონა, ლენა, დები ნათელა, სანა, თინა, ძმა რეზო, ბებია ნადეჟდა, ბი ვლადიმერ, თედორე, გრიგოლ, ალექსანდრე, ნიკოლოზ იუწყებიან რა იონას ასულ გვიშიანის გარდაცვალ დაკრძალვა ბათუმში, 26-VIII, ჯაფ ქ. № 43.

მალარიისა და სამედიცინო პარაზიტოლოგიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის თანამშრომლები იუწყებიან დირექტორის მოადგილის ევნატაშვილის დედის **სოფიოს** გარდაცვალებას, გამოსვენება 26-VIII, 6 ს. ყაზბეგის 4.

დედა ნატა, დები თამარ, პასიკო, სიძეები ვალოდია გძელიძე, ნიკო საღარაძე, ლადო, ქუქული სოხაძეები, იუწყებიან **ესმა სოხაძის** გარდაცვალებას. გამოსვენება 27-VIII, 6 ს. ჩოდრიშვილის შესახვევი 10.

მეუღლე საშა, შვილი დარიკო, ძმა მარო და შურა ბერაშვილები, გოგა, თამარ, ირაკლი, ლეო ჯაფარიძეები, ბიან **ალექსანდრე გრიგოლის-ძე გორ ლის** გარდაცვალებას. პანაშვიდი ყოველ 7 ს. გამოსვენება 28-VIII, 5 ს. ტოლ ის 15.

მეუღლე ნინო, შვილი ზურაბ იუწყებიან **ნიკოლოზ არტემის-ძე ბანცაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 26-VIII, დაბა სურამში, ორჯონიკიძის ქ. 98.

ქალთა მე-10 საშუალო სკოლის მასწავლებლები იუწყებიან მეთერთმეტე კლასის მოსწავლის **ნათელა თოფურიას** გარდაცვალებას. გამოსვენება 26-VIII, ნატახტარის 16.

დედა ეკატერინე, შვილები კონსტან ლეო, როსტომ, და კატუშა ხამაშურ ოჯახებით იუწყებიან **ნადეჟდა ლავრენ ასულ ხამაშურიძე-კიურკჩიბაშევის** ცვალებას, პანაშვიდი 26-VIII, 8 ს. სვენება 27-VIII, 5½ ს. მაჩაბლის 9.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3-08-67, სამდივნოსი—3-06-88. განყოფილებებისა: პროპაგანდისა—3-82-05, პარტიული ცხოვრებისა და საბჭოთა მშენებლობის—3-81-84, ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელისა და მშრომელთა წერილების—3-73-24, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო-სატრანსპორტო—3-80-83, კულტურის, ყოფაცხოვრებისა და ინფორმაციის—3-80-84, მორიგისა და გამომშვების—3-81-65, გამომცემლობის—3-51-81, სტამბის დირექტორის — 3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტირაჟი 119,800. უე 108